

# პიონერი

1

1968

გილოცავთ ახალ წელს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პიონერი ზურაბ ჯანთიშვილი სჭრის ზონარს.

## 5 წუთი ანუ 1 წელიწადი და 10 თვე

თუმცა ჩვენი მიწისქვეშა ტრანსპორტი ყველაზე ახალგაზრდაა, სულ ახლახან შეუსრულდა 2 წელი, იგი უკვე ყველას მოსწონს. მეტრო მას შემდეგ უფრო გახდა ხელსაყრელი, რაც პირველი რიგის მე-2 უბანი ჩადგა მწყობრში. ახალი მაგისტრალი ორმხრივ 4-კილომეტრიან გვირაბსა და სამ კეთილმოწყობილ სადგურს — „ლენინის მოედანს“, „26 კომისარს“, „300 არაგველს“ — ითვლის. ამ მონაკვეთის შემატებამ მეტროპოლიტენის კოლექტივს საშუალება მისცა ვაგონებს შორის შუალედი დრო 8-ის ნაცვლად, 3,7 წუთამდე შეემცირებინა. „დიდუბიდან“ „300 არაგველამდე“ გადარბენას ვაგონები 16 წუთს ანდომებენ, ხოლო „რუსთაველიდან“ „300 არაგველამდე“ — 5 წუთს.

5 წუთი... ეს ძალიან მცირე დროა ასეთი დიდი მანძილისათვის, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ამ დაბ-

# მეტრო



სადგური „26 კომისარი“



სადგური „300 არაგველი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკოლებებით სავსე ტრასის გავლას მშენებლებმა 1 წელიწადი და 10 თვე მოანდომეს. მათ წიაღში ასეული ათასობით კუბმეტრი კლდის ქანი გამოანგრიეს და ამოზიდეს, მის ნაცვლად კი ბეტონის, რკინაბეტონის, ლითონის კონსტრუქციები შეზიდეს და დაამონტაჟეს. მათი საქმიანობა ნაწილობრივ მაინც რომ წარმოვიდგინოთ, მოდი მცირე ხნით წარსულს გადავავლოთ თვალი...

### ზღუდის დასასრული

ყველაზე მღელვარე დღეები მეტროს მშენებელთათვის გაზაფხულზე იყო. 11 აპრილს, მე-4 შახტში, რომელიც სასტუმრო „ივერიის“ მახლობლად მდებარეობს, გვირაბმშენებლებთან ერთად ჟურნალისტებმაც მოიყარეს თავი, მრავალრიცხოვან შეკითხვებზე პასუხის გაცემას ძლივს ასწრებდნენ თბილგვირაბმშენის მთავარი ტექნოლოგი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ესაკია, სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე ნ. ჩაჩხიანი, მე-4 უბნის უფროსი გ. ყიფიანი, ყველას აინტერესებდა თუ როგორ შეხვდებოდა „უკომპასოდ“ ერთმანეთს ორი გვირაბი... აქ უნდა გა-

10.663




სადგური „ლენინის მოედანი“.

ლემ ნ. ბარამიძემ ლამაზად შელესილ კედლებზე მიგვითითეს და აგვიხსნეს: საბჭოთა კავშირში პირველად აქ გამოვიყენეთ სამთო კომ-

ნაწილ-ნაწილ სჭრიდნენ და ისე გაჰყავდათ გვირაბი. ამ საქმეს ხელი შეუწყო გამოცდილი ინჟინრის ნ. ჩაჩხიანის გამოგონებამ.

# გზას მიიკვლევს

ძოჩენილიყო მარკშეიდერების — გვირაბის შტურმანების ალღოიანობა. მარკშეიდერები თვალყურს ადევნებენ გვირაბის გაჭრის სიზუსტეს. მცირე შეცდომას მიმართულების შეცვლა შეეძლო; ამიტომაც ღელავდა მე-4 უბნის მარკშეიდერი გ. ლეკიაშვილი.

გვირაბში ჩავედით, 600 მეტრი გავიარეთ და მუხლამდე წყალში მოვექეცით. რეზინის ჩექმები და სპეცტანსაცმელი, რომლითაც შახტის ჩასასვლელში შეგვმოსეს, სწორედ აქ გამოგვადგა. რთულ პირობებში მუშაობენ გვირაბგამყვანები, მაგრამ მარტო ამით როდი იპყრობენ ყურადღებას. გ. ლეკიაშვილმა და მე-4 შახტის უფროსის მოადგი-

პლექსით.

გვირაბის კედლებზე ჯერ რკინის ასაწყობი ფურცლები დაუმონტაჟებიათ, შემდეგ ბეტონი დაუწნეხავთ. ეს სიახლე შემდეგ ასუანის კაშხალზე გამოსაყენებლად გამოსცადეს. ასე რომ, თბილისის მეტრომ თავისი წვლილი გაიღო ასუანის გრანდიოზულ მშენებლობაშიც...

ახალ უბანზე შედარებით სწრაფად გაჰყავდათ გვირაბი, თუმცა, სამუშაო აქ არანაკლებ მძიმეა. საქმეს უფრო მონდომებით მოეკიდნენ, მექანიზაციაც ფართოდ დანერგეს. ძირითადად ეგრეთწოდებულ გლუვ აფეთქებას იყენებდნენ, რაც გვირაბის მთლიანი კვეთით გავლის საშუალებას იძლეოდა. ადრე კლდეს

მეტრომშენში პირველად გამოსცადეს საბურღავი და დასაბეტონებელი ურიკები. სპეციალურ დანადგარზე გამაგრებული იყო 4 ელექტრობურღი, რომლებიც ერთდროულად მუშაობდა. ამან 4-ჯერ დააჩქარა ტემპი, შრომის პირობებიც გააუმჯობესა... გავიარეთ ეს დანა-

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

1 · იანვარი · 1968

გამოდის XXXXI წელი

დგარი და სალი კლდის კედელს მივადექით, რომელიც არსებობის წუთებს ითვლიდა.

ჩვენი მისვლისას შრომის ვახტზე ვ. გოქაძის ბრიგადის წევრები დადგნენ. დაიწყო აფეთქების მომზადება. აფეთქებას ორ გვირაბს შორის ზღუდე უნდა წაეშალა. ყველამ დამხმარე გვირაბსა და სხვა სათავსებს შევაფარეთ თავი.

— დაიწყეთ! — გაისმა განკარგულება და ზონარს ცეცხლი მოუკიდეს.

რამდენიმე წამში ზალპმა შეაზანზარა ყველაფერი. ერთი აფეთქება, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... დამთავრდა! დაიმსხვრა ლეგენდა კლდის უძლეველობაზე გამჭოლმა ქარმა გაანიავა კვამლი და დენთის სუნი. თაღოვან ჭრილში სინათლე გამოჩნდა. კლდეში გაკვეთილი „ფანჯრის" მიღმა „ლენინის მოედნის" სადგურის კონტურები გამოჩნდა. მუზარადიანი ადამიანების ნაკადმა კლდის ნამსხვრევებზე აგვიტაცა. მშენებლები ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებას. ჭრილში მოპირდაპირე გვირაბის მარკშეიდერი ა. გველესიანი გადმოვიდა და გ. ლეკიაშვილს გადაეხვია.

გამყვანთა ბრიგადირს ვაჟა გოქაძეს სიხარულისაგან ლამის ცრემლები წასკდა.

— ექვსი წელიწადი ველოდი ამ დღეს...— კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ მღელვარებისაგან ვერ მოახერხა. თითქოს ნიშნის მოგებით აიღო კლდის ნამსხვრევი და მძლავრი თითებით დაფშვნა...

გვირაბგამყვანები ამ მიჯნამდე ვადაზე 4 დღით ადრე მივიდნენ. ეს დიდი წარმატება იყო...

## რკინის გიგანტური თხუნელა

სულ სხვაგვარი იყო გვირაბების შეხვედრა „26 კომისარსა" და „ლენინის მოედანს" შორის. 29 აპრილს ლენინის მოედანზე შეიკრიბნენ. აქაც იგრძნობოდა მღელვარება, თუმცა თბილგვირაბმშენის უფროსი ვ. გოცირიძე, მთავარი ინჟინერი ვ. ფაჩულია, მეხუთე შახტის უფროსი ა. ხუსეინოვი და სხვები დარწმუნებულნი იყვნენ წარმატებაში.

ჩვენ წინ ისევ სალი კლდის კედელი იყო. მის მიღმა კი მექანიზებული ფარი „105-ტ" — რკინის თხუნელა, რომელიც ხარბად ღრღნიდა კლდეს. დანიშნული დრო ამოიწურა, უეცრად დუმილი ჩამოვარდა, თითქოს ყველამ გაიგონა ხმაური. მოდის! მოდის! კლდე დამარცხდა! დამთავრდა! აი, მექანიზმის მრგვალი დისკი — ხახა, რომელმაც კლდე შეჭამა! სწორედ ამ დღიდან მეტრო „რუსთაველი" სამუდამოდ დაუკავშირდა გვირაბებით „300 არაგველს".



**უკანასკნელი ზალპი და... შეერთდა გვირაბი „26 კომისრისა" და „ლენინის მოედანს" შორის.**

მთავარი და საამაყო ის იყო, რომ 1200 გრძივი მეტრი მანძილი მექანიზებულმა ფარმა გაიარა. ეს პირველი შემთხვევა იყო მეტრომშენებლობის ისტორიაში.

„105"-ტ" მანქანა მოსკოვში შექმნეს და იქვე გამოსცადეს, მაგრამ ერთ თვესაც ვერ იმუშავა. ჩვენმა მეტრომშენებლებმა შეისწავლეს მისი ღირსებები და გადაწყვიტეს თბილისში გამოეყენებინათ. პირველხანს მანქანას გაუჭირდა, მაგრამ გვირაბგამყვანებმა დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს და მის გასაუმჯობესებლად მრავალი საგულისხმო პრობლემა გადაჭრეს. თითქმის ძირფესვიანად შეიცვალა მისი პირვანდელი სახე.

ფარის ათვისებაში დიდი წვლილი მიუძღვით თბილგვირაბმშენის მთავარ ინჟინერს ბ. ფაჩულიას, მთავარ მექანიკოსს ე. ლოლუას, მე-5 საგვირაბო რაზმის უფროსს ა. ყურაშვილს, მთავარ ინჟინერს ი. მაჭავარიანს, მთავარ მექანიკოსს შ. კაშმაძეს, მე-6 შახტის უფროსს ა. თევდორაძეს. მისი საუკეთესო მართვით გამოირჩეოდა მექანიკოსი რ. ჭელიძე. მანქანა ერთდროულად კლდესაც ჭრის, მონგრეული ქანებიც გამოაქვს და კედლებსაც აბეტონებს. ქართველ სპეციალისტთა მიერ ათვისებული ფარი მალე წარსდგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

## გაზიანებული წყალი

იმ შახტის მშენებლებს, რომლებიც სადგურ „300 არაგველს" აგებდნენ, არაგველები შეარქვეს. თბილგვირაბმშენში კი უბანი მე-7 შახტის სახელწოდებით არის ცნობილი. შახტის უფროსი გენო ხარატიშვილი გვირაბში ჩაგვიძღვა.

ვიწროლიანდაგიანი მაგისტრალი აქა-იქ წყალში იკარგებოდა. ცხელი წყალი სჭარბობდა, მძაფრი გოგირდის სუნი იდგა. ხარატიშვილი ერთგან დაიხარა და გუბეში ხელი ჩაჰყო.

— წვეთმა ორმო ამოიღო და, ისიც ბეტონში — წყალი მრერია მკვრივ საფენს. უბრალო არ გეგონოთ, გოგირდის წყალია. ისეთი, ჩვენს აბანოებში რომ მოდის.

— ნეტავ ხომ არ შეიძლება მისი ზედაპირზე ამოქაჩვა?

— რატომაც არა, მაგრამ მაგის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ახლა არა გვცხელა...

იმის ნაცვლად, რომ წყლის შეუპოვრობით ყოფილიყო განაწყენებული, გენო ლმობიერად ლაპარაკობდა, თითქოს ვინმეს ხელყოფისაგან იცავს ამ სასარგებლო წყალსაო.

— დროებით აერია მისამართი დალოცვილს, რომელიღაც ძარღვიდან იპარება. მაგრამ არ დაიკარგება როცა გვირაბი დამთავრდება, მას „გასაძრომი" ჩაეკეტება და თავის ძველ საუკუნოვან გზას დაადგება, ისევ შეავსებს დედაქალაქის მინერალური წყლების მიწის სიღრმეში არსებული აუზების მარაგს, — ასე აგვიხსნა ხარატიშვილმა გოგირდის წყლის ასავალ-დასავალი.

მძიმე დღე კი აყარა მშენებლებს ამ წყალმა. დიდი ჯაფით გაჰყავდათ გვირაბი. 300 მეტრი მანძილი რთული წყლების ზონად იყო გამოცხადებული. გვირაბგამყვანები ვაჟკაცური შემართებით ებრძოდნენ ბუნებრივ დაბრკოლებას. ათას ტონამდე სპეციალური ცემენტი გამოიყენეს ცხელი ნაკადულების შესაჩერებლად და ბეტონის „სამკურნალოდ".

ალბათ გაგიკვირდებათ, ბეტონი და მკურნალობაო! დიახ, თურმე მასაც სჭირდება მკურნალობა. და, ასე გასინჯეთ, გვირაბმშენებიც სამედიცინო ტერმინს — ინექციას — იყენებდნენ. ბეტონის „ორგანიზმში" სამკურნალოდ სპეციალური ხელსაწყოთი შეჰყავდათ „წამალი" — გამფართოებელი ცემენტი. რაში გამოიხატებოდა ბეტონის მკურნალობა?

როცა მშენებლებმა გვირაბი ბეტონით შემოსეს და წინ წავიდნენ, მიწისქვეშა წყალმა იძალა, ბეტონის კედელი დაჯაბნა და გამოუყონა. ნაჟონი ნაკადულად იქცა და გვირაბს მოედო. ბეტონს სისუსტეს ვერ ვუსაყვედურებთ. მხოლოდ დროდადრო წააგებდა ხოლმე ბრძოლას წყალთან ჭიდილში... იმ ადგილზე, სადაც ბეტონი „დაავადებული" იყო ბურღავდნენ, სტეხავდნენ და მის გულში სწრაფშრობად მასას უშვებდნენ. ამ მიზნით ათასობით ბურღი გაატარეს მეტროს კედლებში.

მეტროს სადგურების მოპირკეთებისას უხვად გამოიყენეს კურსების, სალესაოს და რიკოთის გრანიტი, სალიეთის მარმარილო, უკრაინული — „გაბრო", ურალის თეთრი მარმარილო — „კოელგა", უზბეკური მარმარილო — „ყაზგანი" და სხვა ძვირფასი მასალა.

## ბილეთი № 133

მეტროპოლიტენის საცდელმა ვაგონებმა ვადაზე სამი დღით ადრე გაირბინეს. ეს 27 სექტემბერს მოხდა, ხოლო 30 ოქტომბრიდან მიწისქვეშა მაგისტრალის სრული ბატონპატრონები მეტროპოლიტენის სამმართველოს მუშაკები გახდნენ. მათ სწრაფად „დაამყარეს წესრიგი" ახალ უბანზე, ახალი გრაფიკები შეადგინეს, სადგურებში წარწერები მოაწესრიგეს, სიგნალიზაცია გაძართეს და აი, 6 ნოემბერს სტუმრებიც მოიწვიეს ახალი რიგის გახსნაზე. სადგურ „ლენინის მოედანზე" საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ გვირაბგამყვანები, სოციალისტური შრომის გმირები გ. ობოლაძე და ქ. ლუბავსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დათაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ჯვარაძე და სხვები.

ყველას აინტერესებდა ვინ გაჭრიდა ახალი მაგისტრალის გახსნის ზონარს. როცა 11 საათი შესრულდა და ცისფერი მატარებელი ბაქანთან შეჩერდა, საგანგებოდ მოწვეული პიონერები დაწინაურდნენ. მატარებლების მიღება-გაცილების მორიგემ თამარ ფრუიძემ რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს, ზურაბ ჯანთიშვილს გადასცა მაკრატელი და პიონერმა დიდი მღელვარებით გადაკვეთა წითელი ზონარი. ვაგონებმა ახალი ტრასისაკენ გაიქროლეს.

ზურაბი სანიმუშო ყოფაქცევისა და წარჩინებული სწავლისათვის თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს კოლექტივის საპატიო წევრად აირჩიეს და გადასცეს მოწმობა № 133, რომელიც მოსწავლეს მეტროპოლიტენში მუდმივად უფასო მგზავრობის უფლებას აძლევს...

უკვე ორი თვეა, ცისფერი ვაგონები თერთმეტ კილომეტრზე დაჰქრიან მიწისქვეშა ქალაქში, რომელსაც 2 მიწისზედა და 7 მიწისქვეშა სასახლე-სადგური აქვს. მათი ესკალატორების საერთო სიგრძემ 3.800 მეტრს მიაღწია, ხოლო საფეხურების რაოდენობამ — 11.000-ს. ჩვენს მეტროპოლიტენს დღე-ღამეში 165-170 ათასი მგზავრი გადაჰყავს. თავისი არსებობის არც თუ ისე დიდი დროის განმავლობაში იგი 45 მილიონზე მეტ მგზავრს მოემსახურა.

ახლაც არ წყდება თბილისის გულში მაჯისცემა. სახელოვანი მეტრომშენებლები გზას „ისან" — „ნავთლუღის" მიმართულებით უკაფავენ გვირაბებს. უკვე გაიჭრა პირველი ათეული მეტრები. ორიოდე წლის შემდეგ მეტროპოლიტენის ვაგონები სადგურ „ნავთლუღსაც" მიაკივლებენ.



სადგური „ვაგზლის მოედანი".

**შ. მირიჯანაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „წითელი მამალი“

ე. მარი

სხდომათა დარბაზში, რომელიც სახალხო კომისართა საბჭოს მისაღებიც იყო, კედლის გასწვრივ მაღალ საზურგიან სკამებზე ერთ ან რამდენიმე გლეხურ ბოხჩას ან სოფლის საბჭოს წევრის ბრეზენტისაგან შეკერილ უბრალო პორტფელს ნახავდით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ვლადიმერ ილიას ძესთან გლეხები მოვიდნენ — სოფლის წარმოგზავნილები.

ლენინს უყვარდა გლეხებთან შეხვედრა. ხშირად ისე ხდებოდა, რომ, ის საქმე, რისთვისაც გლეხთა წარმოგზავნილები იყვნენ მოსული, უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ლენინი მაინც ეკითხებოდა. ხოლმე მათ, როგორ ცხოვრობს სოფელი, რას ამბობენ გლეხები საბჭოთა ხელისუფლების ამა თუ იმ დეკრეტზე.

ერთხელ ამერიკელ ჟურნალისტს ვილიამსსა და მის ამხანაგებს ძალიან დიდხანს მოუხდათ ლოდინი, სანამ ლენინთან შევიდოდნენ.

„ჩვენ გვეგონა, — წერდა ამაზე ვილიამსი მოგვიანებით,— რომ ლენინთან ვინმე ფრიად წარჩინებული სახელმწიფო პირი იყო“.

ვილიამსი და მისი თანამგზავრები განცვიფრდნენ, როცა კაბინეტიდან, ლენინთან ერთად, ტყაპუჭიანი და ქალამნიანი გლეხი გამოვიდა. ვლადიმერ ილიას ძე დიდხანს და პატივისცემით ემშვიდობებოდა მას.

— გთხოვთ მობრძანდეთ და მაპატიოთ, — უთხრა ლენინმა ვილიამსს, — გალოდინეთ, მაგრამ ჩემთან ძალზე საინტერესო გლეხი გახლდათ, ტამბოვის გუბერნიიდან არის ჩამოსული. მე მსურდა გამეგო, რას ფიქრობს ეს კაცი რუსეთის ელექტროფიკაციაზე.



გლეხები ლენინთან სხვადასხვა საქმეზე მიდიოდნენ, ადგილობრივი ხელისუფლების უსამართლობას ჩიოდნენ, ზოგჯერ კი რჩევას ან დახმარებას ითხოვდნენ.

ტვერის გუბერნიის იაროსლავსკის რაიონის სოფელ გორშკოვოს გლეხებს უბედურება დაატყდათ თავს. ახლა ბავშვებმა არც იციან, ოდესღაც რა საშინელი სიტყვები იყო „წითელი მამალი“. ძველად სოფლებში ხანძარს უწოდებდნენ ასე. ცეცხლი მართლაც რომ წითელი მამალივით ხტოდა თივის ერთი სახურავიდან მეორეზე, სოფლის ქოხმახები ცეცხლის ალში ეხვეოდა და ასანთივით იწვოდა.

„წითელი მამალი“ გორშკოვოში 1922 წლის ზამთარში გამოჩნდა.

საკვამურიდან ამოვარდნილი ნაპერწკალი ერთ-ერთი ქოხის სახურავს დაეცა. ღამე იყო და ხანძარი გვიან შენიშნეს. საუბედუროდ, ქარიც ამოვარდა. ცეცხლი ჯერ ერთ სახლს მოედო, შემდეგ მეორეს და, დილით სოფელი სადღა იყო, მხოლოდ ღუმელები, საკვამურები, ნაცრისა და ნახშირის გროვაღა დარჩა.

რას შვრებოდნენ ძველად ასეთ შემთხვევებში? სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ, ჩანთითა და სპილენძის ტოლჩით. ტოლჩაზე ორი სიტყვა ეწერა: „შეიწყალეთ უსახლკარონი“.

გლეხთა წარმოგზავნილებმა ლენინს გორშკოვოში მომხდარი ხანძრის ამბავი ამცნეს. ვლადიმერ ილიას ძე გულდასმით უსმენდა მათ.

— თქვენი გლეხები ახლაც მოწყალების სათხოვნელად წავიდნენ?

— არა, არა! — უპასუხა გორშკოვოს გლეხთა წარმომადგენელმა, — ახლა ჩვენ ტოლჩისა კი არა, ჩვენი თავის იმედი გვაქვს. მიწა გვაქვს და ამ მიწის ბატონ-პატრონნი ჩვენვე ვართ.

ეს მაღალი, წარმოსადეგი გლეხი იყო, ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და მუხლზე უკოკარდო ქუდი ედო.

ვლადიმერ ილიას ძე მიუჯდა მას და რაღაც მნიშვნელოვანი ამბის მოსასმენად მოემზადა.

— აი, თქვენ ამბობთ, ახლა კაცს თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდესო. საინტერესოა, როგორ გესმით თქვენ ეს? — მიუბრუნდა ლენინი უსახლკაროდ დარჩენილთ.

— ერთმანეთის დახმარებით უნდა ავაშენოთ, ვლადიმერ ილიჩ! მარტო ერთი კაცი ვერაფერს გახდება, ერთად კი შევძლებთ ამ საქმეს, ახლა სხვა დროა. მაგრამ, აი, სიძნელეს წავაწყდით...

— თქვენ სწორად შენიშნეთ, რომ სხვა დროა, — თქვა ლენინმა, — და რომ ერთობით სძლევთ სიძნელეს, ესეც სწორია. მაგრამ მაინც რა სიძნელეს წააწყდით?

— იმ სიძნელეს, — თქვა ივანე ლეონის ძე ლეონოვმა (ასე ერქვა გლეხთა წარმოგზავნილს), — რომ მშენებლობისათვის ხე-ტყეს კი გვაძლევენ, მაგრამ ის სოფელი, საიდანაც მასალა უნდა მოვიტანოთ, ჩვენგან ორმოცი ვერსით არის დაშორებული. ცხენები ცოტა გვყავს და, რაცა გვყავს, ისინიც ჭაკები არიან. ვერაფრით ვერ გამოგვიზიდავს ხე-ტყე. ჩვენი სოფლის მახლობლად, — განაგრძობდა იგი წყნარად, თითქოს სურდა რაღაცაში დაეყოლიებინა ვლადიმერ ილიას ძე. — შესაფერისი ნაკვეთი — გასაჩეხი ტყეა. გვინდა ეს ტყე ჩვენ გადმოგვცენ.

— შევეცდებით მხარი დავუჭიროთ თქვენს თხოვნას, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ. — მაინც რამდენი დაგჭირდებათ ხე-ტყე? მოდი გამოვიანგარიშოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი გლეხთა წარმოგზავნილებთან ერთად ქაღალდზე ანგარიშობდა, რამდენი ხე-ტყეა საჭირო, რომ სოფელი გორშკოვო აღდგეს, ქოხმახები კი არა,

ახალი ფართო, წითელი კრამიტით დახურული სახლები აშენდეს და „წითელი მამალი" საშიში აღარ იყოს. აუცილებლად სოფლსაბჭოს სახლიც უნდა აიგოს, სკოლაც, ქოხსამკითხველოც!

ლეონოვი და მისი ამხანაგები ლენინის კაბინეტიდან კმაყოფილი გამოვიდნენ. ვლადიმერ ილიას ძეც კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით, მარტო იმიტომ კი არა, რომ გორშკოვო ამიერიდან უკეთესი გახდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ მათ სოფელშიც და მათი სოფლის მსგავს ათასობით სხვა სოფელშიც ისეთი ადამიანები გაიზრდებიან, არასოდეს რომ არ ივლიან ტოლჩით ხელში, თუ „წითელი მამალი" გამოჩნდა. ადამიანებმა იციან, რომ ძალა ერთობაა.

ივანე ლეონის ძე ლეონოვი, 1917 წლის რევოლუციის მონაწილე, მას შემდეგ მრავალი წლის მანძილზე გორშკოვოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. კოლმეურნეობას „წითელი ჩირაღდანი" ერქვა, იმ სინათლის აღსანიშნავად, აქ ოქტომბრის რევოლუციამ რომ მოიტანა.

„წითელი მამალი" კი გორშკოვოში სამუდამოდ დაივიწყეს.



# ოთხთათა

მოსკოვის მახლობლად, გორკაში, ვლადიმერ ილიას ძეს ოთხფეხა მეგობარი ჰყავდა. ეს საუცხოო, მოწითალოხალებიანი სეტერი აიდა იყო.

აიდას პატრონი, გორკას კომენდანტი პეტრე პეტრეს ძე პაკალნი, ოდესღაც ამ სეტერით ნადირობდა, მაგრამ ბოლო ხანებში პეტრე პეტრეს ძეს სულ არ ეცალა. ამიტომ ძაღლი მოწყენილი იყო და ოჯახში მხოლოდ „ზარის" მოვალეობას ასრულებდა.

ჯერ კიდევ შორიდან ვინმეს ფეხის ხმას რომ გაიგებდა, აიდა წკმუტუნით იწყებდა ყეფას. თუ მოსული შინაური აღმოჩნდებოდა, აიდა უმალვე ჩუმდებოდა, მაგრამ, როგორც კი უცხოს იგრძნობდა, ხმას დაიბოხებდა და მისი ყეფა შორს ისმოდა.

როცა გორკაში ისვენებდა, ვლადიმერ ილიას ძეს უყვარდა პაკალნის ძაღლთან სეირნობა. აიდა, ჩვეულებრივ, უკან მისდევდა ხოლმე მას. ვლადიმერ ილიას ძე დასასვენებლად პარკში სკამზე ჩამოჯდებოდა, აიდაც შორიახლოს მოიკალათებდა და მოთმინებით ელოდა, როდის დაუძახებდნენ.

ვლადიმერ ილიას ძე აიდას „ოთხთათას" ეძახდა.

ძაღლიც შეეჩვია ამ მეტსახელს.

ვლადიმერ ილიას ძე ერთობოდა აიდათი — გადაუგდებდა შორს რაიმე ნაფოტს და უბრძანებდა: „ეცი!" ეს — ყველა მონადირე ძაღლისათვის გასაგებ ენაზე „აიღეს" ნიშნავს. თითქოს ჩამოგდებული იხვი ყოფილიყოს, ისე მივარდებოდა ხოლმე აიდა ნაფოტს და კბილებით მიურბენინებდა ვლადიმერ ილიას ძეს ფეხებთან. სამაგიეროდ, ლენინი აიდას საყელურთან ისე სასიამოვნოდ მოფხანდა, ნამდვილმა მონადირეებმა რომ იციან.

ხანდახან ოთხთათას ხელჯოხის ტარებას ანდობდნენ. როგორ მორჩილად და მედიდურად ასრულებდა ხოლმე აიდა ამ დავალებას!..

ერთხელ ვლადიმერ ილიას ძემ თავი შეუძლოდ იგრძნო და ექიმებმა დასასვენებლად კვლავ გორკაში წასვლა ურჩიეს.

მის წასაყვანად პაკალნი აერომარხილით ჩამოვიდა და აიდაც თან ჩამოიყვანა.

პეტრე პეტრეს ძემ რამდენიმე დღე დაჰყო მოსკოვში. ლენინის გამგზავრება ფერხდებოდა. მოზღვავდა საქმეები, რომლებიც ვლადიმერ ილიას ძეს გამგზავრებამდე აუცილებლად უნდა დაემთავრებინა. თანაც ილიჩი სულ უფრო და უფრო დასუსტდა. აერომარხილით მგზავრობაც გულისგამწყალებელი იყო, ძლიერ ანჯღრევდა.

ლენინი თავის კაბინეტში იწვა, რომელიც მას საწოლი ოთახის მაგივრობასაც უწევდა და მწოლიარე განაგრძობდა მუშაობას.

პაკალნი თითქმის ყოველდღე ნახულობდა ვლადიმერ ილიას ძეს და სულ აგულიანებდა — გორკაში კარგი ამინდებია, იქ უკვე დიდი ხანია დაზამთრდა, ყველგან თოვლი დევს და არემარე თეთრად ქათქათებს. მყუდროებაა. მხოლოდ ციყვები დახტიან ფიჭვებზეო. პაკალნიმ იცოდა, რომ ვლადიმერ ილიას ძე თავს შეიქცევდა „ძველი ნაცნობის" ნახვით და ამიტომ ჩამოიყვანა აიდა. ლენინს ძალიან გაუხარდა ძაღლის ნახვა, მიუალერსა:

— გამარჯობა, ოთხთათავ, როგორა ხარ?

ოთხთათამ დაიწკმუტუნა, შემდეგ კი გაჩუმდა და თავისი ჭკვიანი დრუნჩი საბნის კიდეზე ჩამოდო; რამდენიმე ხნის შემდეგ კი მთელი ტანით წამოიმართა, ოთახში ისე გაიარ-გამოიარა, თითქოს მანძილი გაზომაო და შემდეგ კი საწოლის წინ დაგებულ ნოხზე წყნარად მოიკალათა. აიდა ისე ახლოს იწვა საწოლთან, რომ ვლადიმერ ილიას ძე ხელით მისწვდებოდა.

როცა პაკალნი რაღაც დავალების შესასრულებლად მიდიოდა, ვლადიმერ ილიას ძემ სთხოვა, აიდა ცოტა ხნით ჩემთან დატოვეო.

პეტრე პეტრეს ძე რომ დაბრუნდა, ასეთი სურათი დახვდა: ვლადიმერ ილიას ძე საგანგებოდ გაკეთებულ სადგარზე გაშლილ ხელნაწერს ათვალიერებდა, ძაღლს კი იატაკზე მოეკალათებინა, თათები გაეჭიმა, თავი ამაყად აეწია და ყურები დაეცქვიტა.

თარგმნა დ. შენგელიამ.

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალციხელი მოსწავლეები ბეჯითად ეუფლებიან ფიზიკის საფუძვლებს, როგორც გაკვეთილებზე, ისე ამ საგნის წრეშიც.

# მესხეთის მიწაზე

ასპინძაში, ცის მახლობლად

ასპინძა!

ყოველ ჭეშმარიტ ქართველს მარტო ამ სახელის ხსენებაც სიამაყით აღუვსებს გულს. უნებლიედ გაცოცხლდება ფიქრში ჩვენი წარსულის ერთ-ერთი გმირული დღე: 1770 წლის 20 აპრილი. ერეკლე მეფის მცირერიცხოვანი რაზმის მიერ ოსმალთა ოთხიათასიანი რჩეული მხედრობის სასტიკი დამარცხება. მომხდურთა გვამებით დაფარული, მეწამულისფრად შეღებილი მტკვრის ტალღები... უნებლიედ გაგახსენდება ლადო ასათიანის სტრიქონებიც:

ყური დაუგდეთ, ასპინძის
ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით,
როგორ გავრეკეთ ურჯულო.

ასპინძაში, მტკვრის გაღმა თუ გამოღმა, ერთმანეთზე ლამაზი სოფლებია, თვითეული მათგანი თავისკენ გიხმობს და გიზიდავს. მაგრამ ამჯერად ჩვენ ყველაზე მაღალ, თითქმის ცას მიახლებულ ხიზაბავრას ვეწვიოთ, ხიზაბავრელი თანატოლები გავიცნოთ.

...ციცაბოებზე ელვასავით დაკლაკნილა გზა. მანქანას რის ვაივაგლახით ავყავართ მაღლა და მაღლა. როგორც იქნა, ამოვათავეთ აღმართები. აი, ჩვენს წინ გაშლილ პლატოზე სოფელი გამოჩნდა. მაგრამ ეს ხიზაბავრა არ არის, ამ სოფელს სარო ჰქვია. ხიზაბავრა აგერ, ზემოთ, ფერდობზე რომ შეფენილა, ის არის. თხუთმეტი წუთიც და, ჩვენ უკვე ხიზაბავრის საშუალო სკოლის ეზოში ვართ.

სკოლის დაფერდებული ეზო სავსეა ბავშვებით. ზოგი ფრენბურთს თამაშობს, ზოგი წიგნს ჩაჰკირკიტებს. რამდენიმე გოგონა ცალკე გამდგარა. რაღაცაზე დავობენ.

— არა, მე ზაქრო უფრო მომეწონა.

— რატომ, ზაქროს მამა ცუდი იყო?

— რაც არ უნდა თქვათ, კაკო მაინც ყველას სჯობდა...

თურმე, წინა საღამოს ამ სკოლის პიონერებმა „კაკო ყაჩაღის" ინსცენირება წარმოადგინეს და ეს გოგონებიც „მსახიობებზე" კამათობდნენ.

ამასობაში ზარიც ირეკება. ეზო უმალ ცარიელდება. მოდი, ჩვენ რომელიმე კლასში შევიპაროთ შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმჩნევლად; ვნახოთ, როგორ ბეჯითობენ სწავლაში აქაური პიონერები.

...მეშვიდე კლასი. ქართული ენის გაკვეთილი. დაფაზე ლამაზი ასოებით არის გამოყვანილი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. დაფასთან ელენე ველიჯანაშვილი დგას. იგი დინჯად განმარტავს აფორიზმის შინაარსს, შემდეგ გრამატიკულად არჩევს წინადადებას. ელენეს ადგილას მერე თამარ აბელაშვილი დგება. დაფაზე ჩნდება ახალი წარწერა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. თამარიც ამომწურავად უპასუხებს მასწავლებელს შეკითხვებზე. მერე — როლანდ მაზაშვილი, მერი ივანიშვილი გამოდიან... საკლასო ჟურნალში მათი გვარების გასწვრივაც ნიშანი „5“ იწერება. იაკობ ბალიაშვილი — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი — კმაყოფილია. ახალი მასალის ახსნა იწყება. ჩვენ კი ახლა მეექვსე კლასში შევიხედოთ.

მეექვსე კლასში ისტორიის გაკვეთილია. თამამად, აზრიანად ლაპარაკობს ლიანა დათაშვილი. ლიანას არც ეკატერინე ზურაბაშვილი და ჯუმბერ დათაშვილი ჩამორჩნენ. და განა მარტო ესენი?.. მთელ კლასს ეტყობა, რომ აქ ყველა ბეჯითია.

შესვენებაზე პიონერთა ოთახი ბავშვებით ივსება. უფროსი პიონერხელმძღვანელი ნათელა მურადაშვილი გულისხმიერად ესაუბრება რაზმების საბჭოს თავმჯდომარეებს, ცალკეულ პიონერებს, ყველას აძლევს სათანადო პასუხს ამათუიმ საკითხზე. ლამაზად გაუფორმებიათ ვ. ი. ლენინის ცხოვრების ამსახველი ფოტოსტენდი. გმირი პიონერებისა და კომკავშირელების ფოტოსტენდიც საინტერესოა.

— გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები საგნობრივ წრეებში იღრმავებენ ცოდნას, — გვესაუბრება სკოლის დირექტორი, პატივცემული ალექსანდრე ხუციშვილი, — მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის წრეცა გვაქვს, სადაც ნორჩი დეკლამატორები შესანიშნავად კითხულობენ ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ნიმუშებს. გვასახელეს ჭადრაკისა და შაშის წრეებში ჩაბმულებმა. ანა ლეკიშვილმა, ვახტანგ თედორაძემ, მერაბ დათაშვილმა და ვახტანგ მურადაშვილმა რაიონულ შეჯიბრებაზე შაშში პირველი ადგილი დაიკავეს. მოჭადრაკეები მეორე ადგილზე გამოვიდნენ. ქართული ჭიდაობისა და ფრენბურთის წრეებიც ჩამოვაყალიბეთ. დაე ჩვენი ბავშვები ცოდნითაც აღჭურვილი იყონ და ფიზიკურად ამტანნიც.

სკოლის ერთ-ერთი პატარა ოთახი წიგნებით არის გაჭედილი. ეს ბიბლიოთეკაა. 5200 წიგნი ჩამწკრივებულა თაროებზე. კიდევ ელიან ახალ წიგნებს. ხიზაბავრელ ბავშვებს ძალიან უყვართ წიგნი და ბიბლიოთეკარს უჭირს ყველაზე აქტიური მკითხველის დასახელება.



ახალციხის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის პიონერებს უყვართ თავიანთი კედლის გაზეთი. ეს კი სარედაქციო კოლეგიის შემოქმედებითი მუშაობის შედეგია.



ხიზაბავრელ ქეთინო ველიჯანაშვილის ნაქარგები გამოცდილ ოსტატსაც კი მოეწონება.

სტეფანე ბალიაშვილი, სოფიო მექოშვილი, ნატო ხუციშვილი, ზურაბ ტატურაშვილი, მზია პაპაშვილი, ნათელა კეღოშვილი... — რომელი ერთი ჩამოთვალოს! ხშირად ეწყობა წაკითხულის გარშემო კოლექტიური სჯა-ბაასი, ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს...

როგორც ყოველ მთის სოფელში, ხიზაბავრაშიც ხანმოკლეა შემოდგომა. ხიზაბავრა ხომ ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარეობს. თუ დროზე არ მოიწიე და არ დააბინავე მოსავალი, შეიძლება მოულოდნელად დათოვოს. ამიტომ ამ დროს ყოველი მუშაკაცი, რომ იტყვიან, თავისი წონა ოქრო ღირს. ხიზაბავრელმა პიონერებმა, ცხადია, კარგად იციან ეს და, თუ საჭიროა, მუდამ მხარში უდგანან თანასოფლელ უფროსებს, თავიანთ კოლმეურნეობას. ცხვარ-ძროხის მოვლაა, კარტოფილის ამოღებაა, გზების შეკეთებაა თუ სხვა რამ სასოფლო საქმე, ცოტა ოფლს როდი ღვრიან რომან და გაიოზ ყრუაშვილები, მანანა და ნოდარ ივანიშვილები, თამარ ბაბელაშვილი, რევაზ ველიჯანაშვილი, შოთა ხუციშვილი, გულნაზი ბალიაშვილი... კოლმეურნეობის მესვეურნიც დიდად აფასებენ ბავშვების ხელის წახმარებას.

კვირადღეობით მთელი სკოლა ექსკურსიებსა და ლაშქრობებს აწყობს. უკვე დაათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების საოცრება ვარძია, ჩვენი კულტურის სასიქადულო ძეგლები — აწყურის, ასპინძის, თმოგ-



დიდი ინტერესით ეკითხებიან ხოლმე პატარები ნათელა მურადაშვილს გმირ პიონერებსა და კომკავშირელებზე. ნათელაც ხალისით ესაუბრება მათ.

ვის, ხერთვისის ციხე-სიმაგრეები, იყვნენ საქვეყნოდ ცნობილ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ხიზაბავრის საშუალო სკოლა ამჟამად საკმაოდ მოძველებულ, პატარა შენობაშია მოთავსებული. საკლასო ოთახების უკმარობის გამო მეცადინეობა სამცვლიანია. მაგრამ, გავა ცოტა ხანიც და, სოფლის ბოლოს, გაშლილ ალაგას, ახალ, კეთილმოწყობილ სკოლის შენობაში, რომლის საძირკველიც უკვე ჩაყრილია, რამდენიმე ასეულ ხმაზე ახმიანდება ცოცხალი ქართული სიტყვა. და, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო იმატებს წარმატებები სწავლაში, შრომაში, ყოველდღიურ პიონერულ საქმიანობაში.

ახლა კი დავემშვიდობოთ ჩვენს ასპინძელ მეგობრებს და რამდენიმე ათეული კილომეტრით დასავლეთისკენ გადავინაცვლოთ.

## თავს დაჰყურებთ ძველი ციხე

დილის ათი საათია. ახალციხის კულტურის სახლში ტევა აღარ არის. ბევრი მაყურებელი გარეთ დარჩენილა, მაგრამ აქაც აღწევს სცენიდან წკრიალა ხმით ნათქვამი:

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდაც ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია...

ერთ ლექსს მეორე ლექსი სცვლის, ერთ სიმღერას — მეორე სიმღერა... მღერიან, ცეკვავენ ერთიციდა ბავშვები: მარინე სულაძე, თამარ სამსონაძე, მარინე ღონღაძე, გურამ ფეიქრიშვილი, ნინო გოგოლაძე, ნანა ჩიტაძე, ზურაბ პეტრიაშვილი, მარინე ყვითელაშვილი და სხვანი, რომელთაც ჯერჯერობით არ უმშვენებთ გულმკერდს წითელი ყელსახვევი. ისინი ოქტომბრელები არიან, ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის უმცროსკლასელები. სწორედ მათი — „ოქტომბრელთა დილა" ტარდება აქ ამ დილით. დარბაზში ჩუმად ღელავენ თამარ გველესიანი, ნუნუ ზედგინიძე, ლეილა ლომსაძე, ნანა მესხიძე, მედეა მიქელაძე, გიული სამსონაძე — ოქტომბრელთა ჯგუფების ხელმძღვანელები. მათ მოამზადეს ბავშვები ამ დილისათვის და შიშობენ, ვაითუ სადმე წაიბორძიკონ პატარებმაო. ტყუილად! მთელი დარბაზი აღტაცებულია ყველაფრით, რაც კი სცენაზე ხდება.

მთავრდება „ოქტომბრელთა დილა" და ყველანი — მონაწილენიცა და მაყურებლებიც — მშობლიური სკოლისაკენ მიეშურებიან.

სკოლის ეზოში შესვლისთანავე თვალში გეცემათ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი-სტენდი „დიდება", რომლის წინაც მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. ობელისკის გარშემო ყვავილნარი ხასხასებს. სკოლის პიონერ-მოსწავლეებს ქალაქის კულტურის სახლში კონცერტი გაუმართავთ და შემოსული თანხა ობელისკის ასაგებად გამოუყენებიათ.

სამსართულიანი სკოლის შენობაში — დერეფნებსა და საკლასო ოთახებში — წითელყელსახვევიანთა ჯგუფი დადის. თითოეულ კუნჭულს გულდასმით ათვალიერებენ, მერხებსა და მაგიდებს ცხვირსახოცს უსვამენ...

— ესენი სისუფთავის დაცვის კომისიის წევრები არიან. — გვიხსნის უფროსი პიონერხელმძღვანელი ჟუჟუნა ფარცახაშვილი. — რაზმი რაზმს, კლასი კლასს ეჯიბრება სანიმუშო სისუფთავეში. ყოველი თვის ბოლოს ჯამდება შეჯიბრების შედეგები. დღესაც ხომ თვის უკანასკნელი რიცხვია. საღამოს გამარჯვებულ რაზმს საზეიმო ვითარებაში გადაეცემა გარდამავალი ალამი.

ამ ღონისძიების შედეგი ჩვენს თვალწინ არის: ირგვლივ ყველაფერი სარკესავით პრიალებს.

— ჩვენს პიონერთა დიდ კოლექტივში მეორეწლიანები და ოროსნები ამჟამად თითზე ჩამოსათვლელილა გვყავს, — ამბობს სკოლის დირექტორი მიხეილ ჟუჟუნაძე, — ვცდილობთ, მალე ისინიც გავუტოლოთ მოწინავეებს. ამ მიზნით სკოლის რადიოგადაცემასაც („ციცინათელა") ვიყენებთ, კედლის გაზეთსაც, დამატებითაც ვამეცადინებთ მოსწავლეებს.

სკოლას შესანიშნავი სასწავლო კაბინეტები აქვს: ფიზიკისა, ქიმიისა, ბიოლოგიისა...

აი, ბიოლოგიის კაბინეტი. აქ ამეცადინებს ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ნატალია კუნდუხაშვილი. უპირველესად თვალში გეცემათ სტენდი „შოთა რუსთაველის ნაკვალევზე". წრის



მესამეკლასელი კახაბერ ალთუნაშვილი სკოლის საამაყო მევიოლინეა.



შეხვედრებზეც კი ხელში წიგნი უკავიათ ახალციხელ მოსწავლეებს, რომელნიც კიდევ იმეორებენ მოცემულ მასალას.

წევრებს ფირფიცრისაგან ძველი მესხეთის რუკა გამოუჭრიათ. რუკის გარშემო რუსთაველის მიერ მოხსენიებულ მცენარეთა ჰერბარიუმებია განლაგებული. თვითეულ მათგანს „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამისი სტროფი აქვს ქვეშ მიწერილი.

ახალციხის რაიონში რა ჯიშის ხეხილი არ ხარობს, მაგრამ განსაკუთრებით აქაური ვაშლი და მსხალია განთქმული. გივი მამუკელაშვილს, ლილი ჩილინგარაშვილს, რომან აღლებაშვილს, სიმონ საანიშვილს ამ ჯიშების თავისებურებები შეუსწავლიათ და ლამაზად გაფორმებული ალბომიც შეუდგენიათ. ლამარა გელაძესა და რუსუდან მეჭვაბიშვილს კი სველი პრეპარატები დაუმზადებიათ; კარადის თაროზე მინის ექვსი ქილაა ჩამწკრივებული. მათში თვალსაჩინოდ ჩანს, თუ როგორ ვითარდება ქათმის ჩანასახი. ლიანა კიკნაძეს, ლალი სოხაძეს, ანა პაპიკიანს, გიორგი ჯიმშერაშვილს, ივანე გერასიმიდის რაიონში გავრცელებული სამოცამდე სამკურნალო მცენარე შეუგროვებიათ. თვითეულს მიწერილი აქვს, მცენარის რომელი ნაწილი იხმარება ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ.

მარინე გოგოლაძესა და იამზე ზაზაძეს თურმე საღებავების შემცველი მცენარეების შესწავლა იტაცებთ. აი, მათ მიერ ძაღლყურძენას, გეორგინას, ენდროს, კომშის ფოთლის, კაკლის წენგოს და სხვათა წვენით შესანიშნავად შეღებილი შალისა და ბამბის ძაფები...

თვალისჩინივით უფრთხილდებიან წრის წევრები განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ რესპუბლიკურ კონკურსებში მიღებულ I და II ხარისხის დიპლომებს.

...4-ის ნახევარია. სკოლის ეზოდან ძაღლის გაავებული ყეფა მოისმის. ნეტა რა ამბავია? თურმე დღეს „მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების“ რაზმის მორიგი მეცადინეობაა.

ახალციხელები ამაყობენ 1-ლ ქართულ სკოლაში შექმნილი „მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების“ რაზმის საქმიანობით. ამ რაზმელებს ბევრჯერ გაუწევიათ დიდი დახმარება მესაზღვრეებისათვის.

აი, ეს გერმანული ჯიშის ნაგაზი „ჯულბარსი“ ამ რაზმის წევრთა — და-ძმა მანანა და თენგიზ წიკლაურების ხელით არის გამოზრდილი და გაწვრთნილი. იგი შეუცდომლად იღებს გეზს და მთელი რაზმიც სიყვარულით უვლის ძაღლს. საბჭოთა მესაზღვრეები სათანადოდ აფასებენ უმცროს მეგობართა დახმარებას: მათთან შინაარსიან შეხვედრებს აწყობენ.

...სკოლას გვერდით მრავლისმოწამე მდინარე ფოცხოვი ჩაუქრის. მდინარის მეორე ნაპირას ათასჭირგამოვლილი, უზარმაზარი ციხე-სიმაგრე აღმართულა. იგი ზედ თავზე დაჰყურებს სკოლას და თითქოს იდუმალი ხმით შთააგონებს აქ მოჟრიამულე გოგო-ბიჭებს: „იყავით სახელოვან წინაპართა ღირსეული შთამომავალნი“. ციხე-სიმაგრის თავზე დიდი ლენინის პორტრეტი კაშკაშებს, დაუღალავი სწავლისა და შრომისაკენ, ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებად.

...ჰყვავის, მხრებს შლის მესხეთი — ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერა, უკვდავი რუსთაველის მშობელი მხარე.

იზრდებიან მესხეთის მიწაზე ხალისიანი, ცოდნისმოყვარე ქართველი ქალ-ვაჟები...

იხარონ! იმრავლონ!

**სიმონ შამურიანი.**

ფოტო **ანზორ ჩიგოგიძისა.**



ობელისკი-სტენდის წინ ნაირფერი ყვავილნარი გაახარეს პიონერებმა.

# ჯიმარაის ტუსაღები

რევაზ ჯაფარიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— ისინი იქნებ უფრო ადრეც გამოვიდნენ.

— შეიძლება! მეტსაც გეტყვი: რა იცი, იქნებ სხვებთან ერთად უკვე დიდი ხანია გვეძებენ.

— როგორ მოვიქცეთ, ბიჭებო? — ისევ ორივეს მოგვმართა მერაბმა, — გათენებამდე დიდი დროა ნეტავ დარჩენილი?

— ორი-სამი საათი, — გაჟღერილად თქვა თენგიზმა. მე სავსებით ვიზიარებდი მის ვარაუდს.

— ხომ არ აჯობებს, დილამდე დავისვენოთ, ღონე მოვიკრიბოთ და გათენებისთანავე...

— სხვა გზა მაინც არ არის, — შენიშნა თენგიზმა, — გინდა თუ არ გინდა, უნდა მოიცადო. ჯერ ბნელა. გადაწყდა: ვიძინებთ!

ტომრებში დიდხანს ვიწრიალეთ. სანამ ტანი არ გაგვითბებოდა, როგორ დავიძინებდით, დანოტიავებულ ტომარაში კი, აბა, რა გაგვათბობდა. ადრე იყო თუ გვიან, ჩამთვლიმა. თუმცა უკვე მეძინა, ვგრძნობდი, რა ჩქარა გადიოდა დრო. კიდევ ცოტა ხანიც და თოვლის ჭუჭრუტანაში ნანატრი განთიადის შუქი შემოიხედავდა. ძილში გაურკვეველი ხმაური მომესმა. ტომრებს შორის თითქოს ვიღაც გოლიათი დააბოტებდა. გულმა რეჩხი მიყო. თვალები დაფეთებულმა გამოვაჭყიტე რისამე დანახვა შეუძლებელი იყო. ჯურღმულში ისევ ბნელოდა. მეზობელი ტომრები ხელით მოვსინჯე და უცებ ყვირილი თუ ხავილი აღმომხდა. გულგახეთქილი თენგიზი და მერაბი უმალვე წამოცვივდნენ და მე მომვარდნენ.

— რა მოხდა? რა იყო?

— კოტეს ტომარა ცარიელია!.. — ძლივს მოვახერხე ამ სამად სამი სიტყვის თქმა და იმის მაგიერ, რომ ამხანაგებთან ერთად რაიმე მეღონა, კინაღამ ისტერიული ღრიალი მოვრთე.

— ცარიელია? როგორ თუ ცარიელი? სად უნდა წასულიყო?

ბიჭები მალე დარწმუნდნენ, რომ არა ვცდებოდი. კოტე კარავში არ აღმოჩნდა. მისმა უცნაურმა დაკარგვამ თავზარი დაგვცა. სად უნდა წასულიყო თავისი დამზრალი ფეხებით! მას ხომ ნაბიჯის გადადგმის ღონეც აღარ შესწევდა. როგორ უნდა გაეღწია აქედან, ხოხვით?.. კარავის სამივე ბინადარს თვალი ხვრელისაკენ გაგვექცა.

— თოკი აქ არის! — დაიძახა თენგიზმა.

მივხვდი, თენგიზი და მერაბიც იმასვე ფიქრობდნენ, რაც მე გავიფიქრე. სანამ ჩვენ გვეძინა, კოტეს შეეძლო თოკი გაეტანა და კედელზე დაეშვებულიყო. მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა, კოტესაგან ეს აღარ გაგვიკვირდებოდა. კარავში თოკის პოვნამ ფიქრის მიმართულება ერთბაშად შეცვალა. მაშ რა მიზნით უნდა გაპარულიყო, თუკი სამშვიდობოს გასვლა გადაწყვეტილი არ ჰქონდა?

— რას აპირებ, მერაბ? — კარავში გამეფებული სამარისებური მყუდროება თენგიზის ათრთოლებულმა ხმამ დაარღვია.

— აქ მომიცადეთ! — უცებ რაღაც გადაწყვიტა მერაბმა, — მე ამ წუთში დავბრუნდები!

— უთოკოდ მიდიხარ? ხომ არ გადაირიე?!

მერაბი გაჩერდა. მოთმინებით დაიცადა, ვიდრე წელზე თოკს შემოვაბამდით. მერე პირქვე დაემხო და ხვრელში შეხოხდა. სულ მალე ხმა მოგვაწვდინა:

— მიშველეთ, ბიჭებო, აგერ წევს!..

— ცოცხალია? — აღმოგვხდა მე და თენგიზს.

მერაბმა პასუხი აღარ გაგვცა და კარავში დარჩენილები შიშმა აგვიტანა. რა ძალამ გაიყვანა კოტე მარტოდმარტო, რამ გააბედვინა ხრამის პირზე უთოკოდ გასვლა! მაგრამ იქნებ არც გაუგია, რასაც შვრებოდა და ყველაფერი დიდი სიცხისა და ტკივილის ბრალი იყო?

დავფაცურდით. აქეთ-იქით უმწეოდ მივასკდ-მოვასკდით. ორი და სამი კაცი ერთსა და იმავე დროს ვერ მოვთავსდებოდით ხვრელში, მისი გაფართოება კი თოვლის ზვინის უეჭველი ჩამოწოლით გვემუქრებოდა. მერაბს ისევ კოტესათვის უნდა ჩაება თავისი თოკი და თვითონ როგორმე უკან დაბრუნებულიყო. თუ ამას მოახერხებდა, თოკს მერე სამივე მოვქაჩავდით და კოტეს, ცოცხალს თუ მკვდარს, კარავში შემოვათრევდით.

ამ ერთადერთი გონივრული გეგმის სისრულეში მოყვანას კარგა ხნის წვალება დასჭირდა. სულთმობრძავი კოტე ვეშაპელი რომ კარავში შემოვაბრუნეთ და თოვლში ამოგანგლული ზედა ტანსაცმლის გაძრობა დავუწყეთ, რათა ისევ ტომარაში ჩაგვეთბუნა, გარეთ უკვე ნანათლევი იყო. მუქი ფერის ცის ნაფლეთზე, რომელიც თოვლის ჭუჭრუტანაში ჩანდა, ორად ორი წვრილი ვარსკვლავი ძლივსღა ბჟუტავდა.

— მეტი მოცდა უკვე შეუძლებელია! — თქვა თენგიზმა. ხმაზე შევატყვე, რომ რაღაც გადაეწყვიტა და ახლა ამ გადაწყვეტილების გამჟღავნებას აპირებდა.

— თუ არ მოიცდი, სად წახვალ —პირში შეეჭრა მერაბი.

— თქვენ ორნი უნდა წახვიდეთ, შენ და გიგი, მე კოტესთან დავრჩები. ვინ იცის, მაშველი ჯგუფი ორი-სამი დღის ამოსულია და სულ სხვა ადგილას გვეძებს!

— თუ წასვლაა, ყველა ერთად წავალთ, აქ არავინაც არ დარჩება!

— სჯობდა, რასაკვირველია, ყველა წავსულიყავით, მაგრამ...

— სჯობდა და კიდევაც წავალთ!

— დამიჯერე, მერაბ, ადგილიდან ოთხივეს დაძვრა დიდ დროს წაგვართმევს. ორნი უფრო ადვილად მოახერხებთ აქედან გასვლას და ძია შიოს შეატყობინებთ, სად უნდა გვეძებონ. ეს უფრო გააადვილებს საქმეს, დამიჯერე. ოღონდ ყვე-

* დასასრული. იხ. „პიონერი" № 7, 8, 9, 10, 12.

ლაფერი ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს. ხომ იცი, ყოველი წუთი ძვირფასია.

მერაბი გაჩუმდა. მეც ხმაგაკმენდილი ვიჯექი კოტეს სასთუმალთან. თენგიზი სიცოცხლეს გვთავაზობდა, თვითონ კი მომაკვდინებელ განსაცდელში იგდებდა თავს. ვინ იყო თავდები, რომ მზის ამოსვლისთანავე, ან უფრო ადრეც, ცულის პირივით ალესილ თხემზე თოვლი არ მოწყდებოდა და ორივეს ზვავი არ შთანთქავდა?

— მაშინ, თქვენ ორნი წადით, შენ და გიგი, — გადაწყვიტა მერაბმა, — კოტესთან მე დავრჩები!

გული ამიჩუყდა. ვიგრძენი, როგორ ჩამომიგორდა ლაწვზე თბილი ცრემლი და ხელზე დამეცა. ნეტავი რითიმე შემძლებოდა ეს ორი თავდადებული ამხანაგი და მათთან ერთად კოტე გასაჭირიდან მეხსნა და თვით მე მარტო გავმხდარიყავი მსხვერპლი...

— თუ არ გინდა ძალიან მაწყენინო, ისე მოიქეცი, როგორც ვამბობ — დამასწრო თენგიზსა და მერაბს თითქმის წყრომით მიმართა, რასაც ადრე არასოდეს არ სჩადიოდა ხოლმე, — ნუ მათქმევინებ, რა საფუძველი მქონდა, როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდი, ნურც დროს ვკარგავთ.

— საშიშია, თენგიზ, აქ დარჩენა. — მერაბი მიუხვდა და გულში ალბათ უზომოდ მადლობელი იყო.

— მითუმეტეს, მე უნდა დავრჩე! — მოსჭრა თენგიზმა.

— რამე რომ მოხდეს, ბიჭო? თავი სად გამოვყო?!

— მოვეშვათ სენტიმენტალობას! გიგი, შენ რად გაჩუმდი, რატომ არაფერს ამბობ?

— რა ვთქვა... — კრიჭა ძლივს გავხსენი მე.

— აბა, ნუ იგვიანებთ ახლა, ხომ ხედავთ, თენდება! ადვილი გზა არც თქვენ გიდევთ წინ. ფრთხილად იარეთ. მართლა, ჩემი სამაშხალე? — თენგიზი კალთისკენ შებრუნდა და ხალთა დაითრია, — თუმცა რაღად გვინდა! ვაზნები რომ დაგვრჩენოდა, მართლა გამოვიყენებდით. სინათლე მაინც იყოს. წერილს დავწერდი...

— რა წერილს? — საბედისწერო განშორების წინ მერაბსაც ჩემებრ ასჩუყებოდა გული და აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო.

— წერილს... რა იცი, ყველაფერს უნდა მოელოდე კაცი.

— ნუ გეშინია, მალე მოგეშველებით!

— აბა!

ისინი გადაეხვივნენ და რატომღაც დარცხვენილები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. ეს ნამდვილი ბიჭური. უგერგილო გამომშვიდობება იყო. ბოლოს, ჩემმა რიგმაც მოაწია.

— ნუ დაივიწყებთ ამ დღეებს, გიგი! — მითხრა თენგიზმა და ხელი პირველმა მომხვია, — მშვიდობით!

— „მშვიდობით" თუ „ნახვამდის", რას ამბობ! — მოძალებულ ცრემლებს ველარ მოვერიე, ეს სიტყვები აკანკალებული ხმით ვუთხარი და მეგობრის წვერწამოზრდილ ლოყას ყვრიმალით შევეხე.

— სულ მალე შევხვედროდეთ!

— კოტე? კოტეს არაფერი გავაგებინოთ?

პასუხის გაცემის მაგიერ თენგიზი თოკის გროვას დასწვდა და ისევ წამსვლელებს მოგვიბრუნდა:

— წინ რომელი მიდიხართ?

— გიგი... — მოისმა სიბნელეში.

გავშეშდი. მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ხმა კოტესი იყო, საოცრად სუსტი და თითქოს იმქვეყნიური. თენგიზსა და მერაბსაც ალბათ იგივე დაემართათ, რაც მე. სამივემ იმ ადგილს მივაშურეთ, საიდანაც კოტეს ხმა ისმოდა.

— გინდა რამე, კოტე? — ჩავძახე მომაკვდავს, — გიგი ვარ...

— წადით... აქ ნურავინ დარჩება... მაპატიეთ...



— რას ამბობ, როგორ თუ ნურავინ დარჩება! გული რამ გაგიტეხა! — ავყვირდით სამივენი, — არა გრცხვენია, ბიჭო? ორ საათში გავალთ აქედან. ყველაფერი კარგად დამთავრდება!

— წადით... — კოტე უკვე ამ ქვეყნისა აღარ იყო, მაინც თავისას გაიძახოდა. — ჩემი გულისთვის... თავს ნუ დაიღუპავთ... მინდოდა გა... გამე... მივედი... ვერ გა... გავბედე... ლაჩარი ვყოფილვარ... ფუ!

ეს რა თქვა! განცვიფრებულები და მეხდაცემულები სიბნელეში ერთმანეთს მივაჩერდით. საიდუმლოებას ფარდა აეხადა. და კოტე თითქოს ხელახლა დაიბადა ჩვენ თვალწინ, კოტე, რომელსაც აქამდე არავინ იცნობდა და რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, არც იყო.

14.

ხრამი ბევრად უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე დილაბნელზე მეგონა. ფეხი რომ ფსკერს შევახე, მაშინღა მივხვდი — თოკიც გათავებულიყო. მერაბი ხრამში პირველი ჩავიდა და უკვე იქ მელოდებოდა. თოკის ზედა წვერი, რომელიც ხრამის პირზე დავამაგრეთ, თენგიზმა ახსნა და გადმოგვიგდო. ახლა კი ნამდვილად ჩატყდა ხიდი ჩვენსა და კარავს შორის. რკინის პალოების შემწეობით ამ შვეულ კლდეზე ასვლას, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი საათი მაინც დასჭირდებოდა, იქნებ მეტიც...

— აქედან ვის რას გავაგონებთ! — მერაბს გუნება სულ გაუფუჭდა, — ისევ თხემზე უნდა ავიდეთ!

მისგან... მიკვირდა სწორედ! განა ეს ადრე არ იცოდა?

თხემზე ასვლას შემოვლის გზით თუ მოვახერხებდით. ხრამის ფსკერს დაბლა უნდა დავყოლოდით და იქ შედარებით ადვილად ასასვლელი ადგილი გვეპოვნა, საიდანაც პირს ისევ ზემოთ ვიზამდით. მერაბი უჩვეულოდ ღელავდა. ალალბედზე ამუშავებულ საათს წამდაუწუმ დასცქეროდა და მერე უსიერი მთის ნაკეცებს აკვირდებოდა ხოლმე. ირგვლივ მხოლოდ თოვლი და შიშველი კლდეები იყო. სიცოცხლის ნიშანწყალი არაფერს ემჩნეოდა.

— ძალიან შორს წავედით, მერაბ, — უფრო იმისათვის, რომ რაიმე მეთქვა, თანამგზავრს გამოველაპარაკე და ახალი ჩასახტომის წინ შევჩერდი, — ამ მანძილის უკანვე ავლა არ გინდა?

— ისე მეუბნები, თითქოს მე მეხალისებოდეს! — შემობრუნა სიტყვა მერაბმა, — ხმა თუ გესმის რამე?

— რა ხმა? — კითხვითვე ვუპასუხე და სმენად გადავიქეცი.

— აბა, კარგად დააკვირდი. მე დიდი ხანია მესმის და ვერ გამირჩევია, მართლა ხმა არის თუ მელანდება. გუგუნებს...

— ვერტმფრენი იქნება, ბიჭო! — წამოვიძახე გახარებულმა, — ახლაც ისმის?

— ყური დაუგდე .ხან ისმის, ხან წყდება. ვეჭვობ, ვაითუ ყურების ბრალია. ხომ იცი, ბგერითი მირაჟიც არსებობს...

— დავნაძლევდეთ, ვერტმფრენი იქნება! უთუოდ ჩვენ გვეძებს.

— ჯიმარაის აღმოსავლეთით სამგზავრო თვითმფრინავების ტრასა გადის.

— მერე? შეიძლება, თვითმფრინავიც იყოს, მაგრამ მე ვერტმფრენი მგონია. ძირს ვერ ეშვება ღრუბლების გამო და ამიტომ ღრუბლების ზემოთ ტრიალებს. რაიმე ნიშნის მიცემა რომ შეგვეძლოს!..

— რად ღირს ახლა ასანთი და ერთი კონა ფიჩხი!

— სანამ ღრუბელს არ გადაუვლია, მაინც ვერ დაგვინახავენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მძლავრი მოტორის ნაწყვეტნაწყვეტი გუგუნი ორივემ გავიგონეთ და ჯანღით მოსილ ცას ხარბად მივაცქერდით. გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა და უფრო მძლავრად და მძლავრად ისმოდა. რაღა თქმა უნდა, ვერტმფრენი იყო! სხვა რა აუცილებელი საქმის გამო უნდა გამოეგზავნათ ის აქ, უგზოუკვლოდ დაკარგული მთამსვლელთა ჯგუფის მოსაძებნად თუ არა? მთელი ალპური კლუბი ალბათ ფეხზე იდგა. გულში იმედი ჩაგვესახა, თუმცა ჯერ დანამდვილებით არაფერი ვიცოდით. როგორ დაგვენახვებინა თავი ცაში გამოკიდებული ვერტმფრენის ეკიპაჟისათვის? როგორ შეგვეტყობინებინა ჩვენი ადგილსამყოფელი და გაჭირვება?

აბურდულ-დაბურდული ფიქრებით თავგზააბნეულებმა ყვირილი მოვრთეთ. მანამ ვიყვირეთ, სანამ ორივეს ხმა არ ჩაგვიწყდა. ვიცოდით, განა არ ვიცოდით, რომ ამ გზით ვერაფერს გავხდებოდით, მაგრამ ღრუბლების ზემოთ მობორიალე ვერტმფრენი გუგუნ-გუგუნით გვშორდებოდა და მიუვალ მყინვარებში მარტო დარჩენა ადვილი როდი იყო.

— საით მიდის? — დაიხავლა მერაბმა, — უკან ბრუნდება?

— მე მგონია, კობის მხარეს წავიდა. გამოდარებას დაუცდიან.

— გიჟები არიან? რა დროს გამოდარების ლოდინია!

— რა ქნან, აბა, თუ ვერაფერი დაინახეს?

— მაშ, არც ჩვენს ასვლას აქვს აზრი! დრო ბევრი დაგვჭირდება და თან ღრუბელია. ისევ დაშვება სჯობს. ქვემოდან წყლის შხუილი ისმის. ჩანჩქერი უნდა იყოს. ხევს გავყვეთ.

— სად გაგვიყვანს მერე ეგ ხევი?

— მე მგონი, იმ ადგილას, სადაც ცხენები დავტოვეთ.

— რას ამბობ, მერაბ, იქიდან ბანაკში როდისღა ავალთ, ხომ დაგვიღამდება!

— ნუ იცი სულელური შეცხადება! აბა, გულხელი დავიკრიფოთ და აქ ვისხდეთ?

ხმა გავკმინდე. მე უკვე ვეღარ ვარკვევდი, რა სჯობდა და რა არა, ბარში ჩასვლა თუ ისევ ქედზე აბობღება. მერაბს მორჩილად დავეთანხმე. ის, ცოტა არ იყოს, სახიფათო სიფიცხით მიაბიჯებდა თავდაღმართში და დროდადრო წელზე შემოხვეულ თოკს ისწორებდა. თოვლის სიღრმემ ნელნელა იკლო. მალე ფეხი შიშველ ყინულს დავადგით და, თითქოსდა ღამის უკუნეთში მყოფთ, თვალები ერთბაშად აგვეხილა.

ძირს, ღრუბლის თხელი საფარველის ქვეშ, მზის კაშკაშა სინათლით განათებული ქვეყანა მოჩანდა.

თავბრუ დამეხვა. წავბარბაცდი.

— რა მოგდის?! — მიყვირა მერაბმა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ფეხები მაშინვე გააბაჯიჯგა.

— არაფერია, მოვდივარ! — მივაძახე მე და, ჩემი მხრივ, თოკი დავაგრძელე, მას დაუბრკოლებლივ რომ განეგრძო გზა.

— ხედავ, სად უნდა ჩავიდეთ?

— მთებსა ვხედავ.

— სხვას ვერაფერს?

— სხვა აქ რა უნდა დაინახო! მგონი, მდინარე ბრწყინავს. მნა ხომ არ არის?

— ალბათ! ან მნა იქნება ან მისი რომელიმე შენაკადი. სუ! — უცებ თავის თავი გააჩუმა მერაბმა, — გესმის ხმა?

წერაყინი წვერით გამოვდე კლდის ქიმს და სმენად გადავიქეცი. სუსტმა ნიავმა, რომელიც სწორედ ჩვენს ქვემოთ თეთრი ღრუბლების უზარმაზარ ფარას მოერეკებოდა, მოტორის შორეული გუგუნი მოიტანა. ეს ისევ ვერტმფრენი იყო. ის ამჯერად შიგ ხეობაში მოფრინავდა და მორენის თავზე ალბათ ღრუბლებში შევიდოდა.

— უკან მოდის!—ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა მერაბმა, — ააააუუუუ!..

ამ დროს მეც დავინახე, რასაც მერაბი ხედავდა — ღრუბლის თხელ ფენაში მოფარფატე ვერტმფრენის ჩრდილი.

თვით ვერტმფრენს ჩვენგან წინ გაწვდილი მთის ზურგი ჰფარავდა. ჩრდილი ხეობის მარჯვენა კალთას მოსდევდა და ოღროჩოღრო კლდეებში მალაყებს გადადიოდა. მალე ვერტმფრენიც მოვლანდეთ. იგი ღრუბლის თვალუწვდენი ყამირის ქვეშ მაღლა მიიწევდა და ყურისწამღები გრუხუნითა და ქოთქოთით იჭაურობას ავსებდა.

— ძირს რომ ვყოფილიყავით, მორენაზე, უფრო დაგვინახავდნენ, — თქვა მერაბმა და ღრუბლის ბოლქვებში შეცურებულ ვერტმფრენს ნაღვლიანი მზერა გააყოლა — ვიჩქაროთ, იქნებ ჩავასწროთ, სანამ უკან დაბრუნდებოდეს!



ოციოდე წუთი თუ ცოტა მეტი ისე ვიარეთ, ხელი არაფერს შეუშლია. გზა თითქოს საგანგებოდ გაეყვანათ. ყინულის ქვეშ წყალი ჩხრიალებდა. იქ ალბათ წყაროები იღებდა სათავეს. სიარული უფრო გაძნელდა. წყალს ყინული შეეჭამა და სახიფათოდ გაეთხელებინა. ახლა ხრამის კიდეზე უნდა გვევლო და ყინულით დაფარულ მღვიმეებს მოვრიდებოდით.

მერაბი შეჩერდა. მეგონა ისევ ვერტმფრენის გუგუნი გაიგონა მეთქი. თავათაც გავჩერდი და ყური მივუგდე. მოიხედა და დამიძახა:

— ნუ ჩამოხვალ, ნუ, უადგილო ადგილას მოვემწყვდიეთ!

— როგორ თუ უადგილო ადგილას?! — გაფრთხილებას ყური აღარ ვათხოვე და იქ ჩავედი, სადაც მერაბი იდგა და, თვალებგაფართოებული, დაბლობში იყურებოდა. თმა ყალყზე დამიდგა. გზა ქვესკნელში შვეულად ჩაკიდებულ სველ კლდეს გადაეჭრა. იქვე, მერაბის მხარმარჯვნივ, ბროლივით ანკარა ნაკადული გამოვარდნილიყო ყინულის ღარიდან და კლდეზე გადაშვებული ისე ეცემოდა რძისფრად აქაფებულ მორევს, რომ ერთი წინწკალითაც არ ეკარებოდა ვეება კასრივით გვერდებშემოსალტულ კლდეს.

ენაჩავარდნილებმა ერთმანეთს შევხედეთ. მერაბმა ძლივსღა ამოღერღა:

— შემოსავლელი მაინც ჩანდეს სადმე! აქედან ზემოთ აბრუნებას ეხუმრები? თენგიზი და კოტე რას იფიქრებენ!

კლდეს თვალი გავადევნე. იგი ნახევარრკალს ქმნიდა თოვლიანი მთის ძირში და თავისი ფუძით ლოდებით მოფენილ გრძელ მინდორს ებჯინებოდა. გამაჟრჟოლა. უნებლიედ უკან დავიხიე და თოვლის ნაჟურით ჩამოღვენთილ ლოდს ავეკარი. როგორღაც მომეჩვენა, რომ კლდეზე დაშვებისას თოკი გაწყდა და გრძელ მინდორში გაბნეულ ლოდებზე დასასკდომად ზემოდან ტრიალ-ტრიალით მოვფრინავდი.

— რა მოგდის, ბიჭო? — უმალ ისევ მომაძახა მერაბმა, რომელსაც არ გამოჰპარვია ჩემი გაუთვალისწინებელი მოძრაობა. — თავბრუ ხომ არ დაგესხა?

— დასვენება მინდოდა, — ვიცრუე მე და მზერა მოვარიდე.

— თენგიზს ალბათ თვალები მოექცა ლოდინში, — თქვა მან თითქმის თავისთვის, — ჩვენ კი აქ ვდგავართ და ვერაფერი გადაგვიწყვეტია...

— ოღონდ ზვავი ნუ ჩამოწვება და, სადაც აქამდე მოუცდია, ცოტას კიდევ მოიცდის.

— კოტეს თუ არ გაუუარესდა მდგომარეობა...

— ჯავრით რას გახდები! უნდა ვეცადოთ და აქედან როგორმე გავიდეთ.

— დაბრუნება ბევრ დროს წაგვართმევს, გიგი, — თქვა ცოტა ყოყმანის შემდეგ მერაბმა და თვალებში გამომცდელად შემომხედა.

— აგრე რად მიყურებ?

— ისე! შემოხედვა არ შეიძლება?

— მაშ ამ კლდეზე აპირებ ჩასვლას?

— ჩასვლით კი ჩავიდოდით, რა დაგვიშლიდა, მაგრამ...

— რა „მაგრამ“?

— თოკი არ ჩასწვდება.

— მაშ რა ვქნათ? — ვკითხე ესა და ტუჩზე ვიკბინე. შუბლზე ოფლის მსხვილ-მსხვილმა წვეთებმა გამომჟონა.

— ისეთი ადგილი უნდა მოინახოს, სადაც ფეხის მონაცვლება შეიძლება, — დინჯად განაგრძობდა ფიქრს მერაბი, — ჯერ იქამდე ჩავალთ, მერე იქიდან ხელახლა დავეშვებით...

აღარ მეგონა, თუ ამ ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაში მერაბი ხსნის გზას მონახავდა. წლების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ და მისმა ბუნებრივმა საზრიანობამ თავისი ქნა. ჩასასვლელად გამოსადეგი ადგილი მალე ვიპოვნეთ. პაწია ბაქანზე, რომელიც კლდეს წინ ნიკაპივით გამოეშვირა, ფეხს ერთი კაცი თუ დასდგამდა, ისიც დიდი სიფრთხილითა და გაჭირვებით. მერაბმა ხალთა მოიხსნა. მეც იგივე მოვიმოქმედე და კლდის პირას ჩავცუცქდი. რკინის პალო საიმედოდ გავჭედეთ ნაპრალში.

— პირველი ჩახვალ თუ ჯერ მე ვცადო ბედი? — მკითხა მერაბმა, როდესაც ყველაფერი უკვე მზად იყო და დაშვებას უნდა შევდგომოდით.



ხმა არ ამომიღია... კლდისაკენ ზურგით დავდექი და კლდე-ღრეში ხოხიალისაგან გაჴეხილ თოკს დავწვდი. მერაბმა ალბათ მაინც შემნიშნა, რომ მოჩვენებითი გულგრილობა, რასაც სახიფათო დაშვების წინ ვიჩენდი, შეიძლება დიდხანს არ მყოფნოდა და თოკის წვერი ასევე უხმოდ გამომართვ...

— ნუ გეწყინება, — მითხრა მერე, — ჯერ მე ჩავალ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანამ შენც ჩამოხვიდოდე, იქ პალოს დავამაგრებ. დრო აღარ დაიკარგება.

შემეძლო, რასაკვირველია, მეთქვა, მაგ საქმეს ვითომ მე რატომ ვერ გავაკეთებ მეთქი, მაგრამ ფუჭ შედავებას დუმილი ვამჯობინე და მერაბის ნებას დავმორჩილდი. მან ფრთხილად გაიტარა ლაჯებში თოკი, წელზე შემოივლო, ზედ მთელი სიმძიმით დაენდო და კლდეს ისე გადაეყუდა, ძირს არც კი ჩაუხედავს. მოუთმენლად ვადევნებდი თვალს მეგობრის ყოველ ნაბიჯს. მთამსვლელისათვის, ვისაც მრავალ მიუდგომელ ადგილზე ასვლა-ჩამოსვლა შეხვედრია, კლდეზე დაშვება, როგორი ციცაბო და ფანტასტიკური ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, სრულებითაც არ არის ძნელი, მაგრამ ამ წუთში რაღაცნაირად აღგზნებული ვიყავი და სულმოკლეობის გამოჩენამდე ერთი ნაბიჯიღა მაკლდა. მერაბის გაბედულებამ გამამხნევა. ის ისე სწრაფად და თავდაჯერებულად ეშვებოდა დაბლა, ისე არხეინად ქანაობდა ჰაერში, როცა ფეხებით კლდეს ვერა სწვდებოდა, თითქოს კაკლის ტოტზე გამობმულ საქანელაზე მჯდარიყოს. მუცლით მიწაზე დავემხე და თავი გადავყავი. ალბათ დაწოლისას კენჭი გადამივარდა, — მერაბმა ამომხედა, გამიღიმა და მუშტით დამემუქრა. ხელით ვანიშნე, რას შვრები მეთქი. აბზეკილი ცერი მაჩვენა. კიდევ წუთიც და ის ფრთხილად შეეხო კლდის შვერილს. ფეხის მოკიდება გაუჭირდა. სიმძიმის ძალა უკან ეზიდებოდა. ამიტომ რამდენჯერმე მოუხდა კედლამდე მისვლა და შემდეგ ისევ უკან დახევა, რათა შესაფერი წუთი შეერჩია თავის შესამაგრებლად. ერთ-ერთი მიახლოების დროს წინასწარ მომარჯვებული სოლი ნაპრალს დაუპირდაპირა, დაამაგრა და, ვიდრე სიმძიმის ძალა ისევ უკან დასწევედა, სამჯერ თუ ოთხჯერ ღონივრად შემოჰკრა მოკლეტარიანი ჩაქუჩი.

როცა იმავე თოკით, რითაც მერაბმა შვერილს ჩააღწია, დაბლა ვეშვებოდი, ქვემოდან განუწყვეტლივ მესმოდა ქვაში გაჭექილი რკინის პალოზე ჩაქუჩის დარტყმის ხმა. ეს თითქოს გამამხნევებელი ძახილი იყო. მერაბი თავისი მოქმედებით მამხნევებდა.

თოკით ცოცვა გამიტკბა. შვერილზე მშვიდობით ჩაბარგებულმა მერაბს უკვე აღარ დავანებე გზა პირველს განეგრძო. იმასაც, ვგონებ, ეს უნდოდა. სიხარულით დამეთანხმა. გზის მეორე ნახევარი გაცილებით ადვილი აღმოჩნდა. ახლა სანატრელი ისღა იყო, ბუნებას ეს ერთი დაბრკოლება ეკმარებინა და გზაში მეტი სიძნელე აღარ შეგვხვედროდა.

მინდორში ახლადამოწვერილი მწვანე ბალახი ბიბინებდა, ნაავდრალ მიწას კი ოხშივარი ასდიოდა და ირგვლივ აფუებული მიწის გამაბრუებელი სურნელი იდგა.

— თითქოს სხვა ციური სხეულიდან მშობლიურ დედამიწაზე დავბრუნდით! — მივეხალისე მერაბს და ხელი წავაშველე. თუმცა ეს სრულებითაც არ იყო საჭირო. მერაბი მსუბუქად ჩამოხტა მიწაზე და მაშინვე თოკის აკრეფა დაიწყო.

— შეხედე, როგორ ყვავის აქაურობა!

— სად ხედავ ყვავილებს?!

— აი მწვანე ბალახი! სულ ერთი არ არის? ალბათ არჩვები და ჯიხვები სძოვენ. ბედნიერები! რაც მთავარია, მზე აცხუნებს, თბილა. თურმე რა კარგია დედამიწაზე ცხოვრება!

15.

ნატვრა აგვიხდა. კლდის ძირას გაწოლილი გრძელი მინდორი ბევრად უფრო გრძელი და თვინიერი აღმოჩნდა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. მთელი ოცი წუთი თუ ნახევარი საათი თავაუღებლივ ვიარეთ. კლდე ისევ სალტეებით შეჭედილ ვეება კასრს ჰგავდა, მხოლოდ სიმაღლე თანდათანობით ემატებოდა. გამოქვაბულებსა და მღვიმეებში, თუმცა მათ არავინ ეძებდა, ცეცხლის ნანთებ ადგილებს ვპოულობდით. კედლები და ჩამოღვენთილი თაღი ალაგ-ალაგ შებოლილი იყო. ქვემოდან წყლის გამუდმებული ჩხრიალი ამოდიოდა. დროდადრო კლდეზე გადმოვარდნილი ან მიწიდან ამოხეთქილი ნაკადულები გზას გვიჭრიდა და ისედაც დასველებულებს ყინულივით ცივი შხეფებით გვწუწავდა.

ერთგან, მოსახვევში შევდექით და მოულოდნელი სანახაობით განცვიფრებულებმა პირი დავაღეთ. არანაკლებ დამფრთხალი და განცვიფრებული თხის ჯოგი ძგრიალით მოსწყდა ადგილს და, რაკი ზევით გზა არა ჰქონდა, პირდაპირ ხევში გადაეშვა. ამისთანა მიუვალ ადგილას უთუოდ არ ელოდნენ ადამიანის გამოჩენას.

— ჯიხვები! — ნაგვიანევად მოვეგეთ გონს და ერთსა და იმავე დროს დავიძახეთ მე და მერაბმა. მაგრამ, ვიდრე ჩვენ ამას მივხვდებოდით, მაღალი მთების ველურმა ბინადრებმა, აქ რომ თავი წყურვილის მოსაკლავად მოეყარათ, ალბათ ცხრა მთა გადაიარეს. მხოლოდ ჩლიქების ბრიგინ-ბრიგინი ისმოდა და თავდაღმართში ქვები მიგორავდა...

— ოჰ, — მერაბმა შვებით ამოისუნთქა და თავი სინანულით გადაიქნია, — ეს რა ვნახე! მეოთხე წელიწადია მთებში დავდივარ და ჯიხვების ამოდენა ჯოგი, თან ასე უცაბედად, არსად მინახავს. თოფები რომ გვქონოდა, სროლას მოვასწრებდით!

— ქვის გულის პატრონი უნდა იყოს მონადირე! — შეცბუნებისაგან მე ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულიყავი და პასუხის მაგიერ ესა ვთქვი, — როგორ უნდა გაიმეტო!

ამ დროს, თითქოს ჩემი სიტყვების გამტყუნება უნდოდაო, სწორედ თოფის გრიალი მოისმა, — ერთი, ორი, სამი, ოთხი! თუ მეხი გავარდა? გავირინდეთ და ყური მივუგდეთ შემზარავ ჭექა-ქუხილს, რომელიც უსიერ მთებში თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სამყაროდან შემოიჭრა და ყოველივეს ელფერი შეუცვალა.

— მონადირეები არიან! — რატომღაც ჩურჩულით თქვა თვალებგაბრწყინებულმა მერაბმა, — ჯიხვებს ესროლეს! ეტყობა, მნის ხეობაში გასასვლელი შორს აღარ უნდა იყოს. გავიქცეთ, გიგი, მომყე!

ერთხანს მხარდამხარ ვირბინეთ. მერე მერაბს ფეხსაცმელში რაღაც ჩაუვარდა და, თუმცა ძალიანაც არ უნდოდა შეჩერება, იმის ამოსაგდებად უკან ჩამორჩა. სირბილი მარტომ განვაგრძე. ეს იყო ბექს გადავადექი, ფეხქვეშ ღრმა ხეობიდან ამომავალი ბილიკი ვიგრძენი და გახარებული დავაკვირდი. ნეტა სად მიდიოდა ეს ბილიკი?

უცებ იმგვარი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რობინზონ კრუზოსავით უკაცურ კუნძულზე მოხვედრილს, ადამიანის პირველი კვალი მეპოვნოს და შემდეგ თვით ისიც — ადამიანიც დამენახოს!

ადამიანი მეთქი, ხმამაღლა დავიყვირე და, ალბათ ისე ხმამაღლა, რომ მისი განმეორება აღარ დამჭირვებია. ჩემი ხმა მერაბმაც გაიგონა და იმანაც, ვისზეც იყო ეს ნათქვამი.

ბილიკის თავში ახოვანი აღნაგობის შავგვრემანი ვაჟკაცი იდგა. ჩაცმულობაზე ეტყობოდა, ადგილობრივი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. უქამრო ძველი მაზარა ეცვა და მაღალ წვივებზე ჭრელი პაჭიჭები მოუჩანდა, როგორსაც მხოლოდ მთიელები იცვამენ თოვლიან ადგილებში ნადირობის დროს. კაცს მხარზე ორლულიანი თოფი გაედო (ტუჩით წინ) და ჩემსკენ იყურებოდა. რა დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ეს მონადირე მნის რიყეზე გაცნობილ მეჯოგე ბესად შევიცანი! ეტყობოდა, მანაც უცებ მიცნო, ან მიხვდა, ვინც ვიქნებოდი და გახარებულმა ყვირილი მორთო:

— ვანიკაა... ააუუუ... ვანიკააა...

ამასობაში უკან ჩამორჩენილმა მერაბმაც მოირბინა და ჯერ მთლად კიდევ არ იყო ბექზე ამოსული, რომ მომაძახა:

— ვინ არის, გიგი?

მე ხელი დავუქნიე, ჩქარა მეთქი, თავათ კი უკანასკნელი ღონის დაძაბვით ავყევი ბილიკს ზემოდან ძუნძულით მომავალი ბესას შესახვედრად. მალე უმცროსი ძმა ვანიკაც გამოჩნდა, მოულოდნელი სიხარულით აღფრთოვანებულმა რაღაც შეჰყვირა, ხელები გაშალა და მოგვაშურა.

— თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! ბიჭებო... თქვე ასეთებო! ისეთებო... ცოცხლები ხართ? გადარჩით? — ვინ იცის. მერამდენედ გაიმეორა კეთილმა ბესამ და თავისი ბანჯგვლიანი ხელებით რამდენჯერ დაგვტორა. უფროს ძმას არც უმცროსი, ამჯერად უკვე წვერგაპარსული და ჩვენებრ ახალგაზრდა ვანიკა ჩამორჩა. ძია შიოს მეგობრულ შენიშვნას, ეტყობა, ემოქმედა: წვერი წინადღეს გაეპარსა, მაგრამ ჯერ ხეირიანად არ წამოსვლოდა.

— იქ... იქ როგორ არის საქმე? — დრო მოვიხელთეთ და ვკითხეთ ორივე ძმას მე და მერაბმა.

— მშვიდობა... მშვიდობა არის... — ძმები, რასაკვირველია, მიხვდნენ, რომელ ,,საქმეზეც" ვეკითხებოდით და ორივეს მაგივრად ბესამ გვიპასუხა.

— კოტე? თენგიზი? — ჯერ ჩვენი ჯურღმულის მძევლები მოვიკითხეთ.

— კარგად, ყველა კარგად არის... — ერთსა და იმავეს იმეორებდა ბესა, თვალებს მალავდა და საკმაოდ მოუხერხებლად ცდილობდა ქვეშქვეშ ძმისთვის შეეხედა და რაღაც ენიშნებინა.

— მამაჩემი? — აღარ დააყოვნა მერაბმა.

— ყველა კარგად არის, ხომ გითხარი!

— ყველა, ყველა? იცოდე, ტყუილი არა სთქვა. ხომ მაინც გავიგებთ!

— არ მიჯერებთ თუ? აგერ კაცსა ჰკითხეთ!

— სად არიან? რატომ არ დაგვხვდნენ?

— ბიჭები და გოგონები უკვე გადაიყვანეს, — ბესამ ცას აჰხედა, სასწაულმოქმედი ვერტმფრენი იგულისხმა, — კობში... ზოგი ყაზბეგშია. შიო და მასწავლებელი, ახალგაზრდა ბიჭი...

— გერა! — მიეშველა ძმას ვანიკა.

— ჰო, გერა... მთაში დარჩნენ. სხვებიც ბევრნი არიან აქ. თბილისიდან ამოვიდნენ, ყაზბეგიდანაც. რაიონში მონადირე აღარ დაგვიტოვებია, ვისაც კი ჯიმარაის კალთებზე გაევლო... დილას აქეთ თქვენ ორს გეძებთ. ადრე წამოსულხართ, დილაბნელზე თოფებს ვცლით, გეძახით...

— დღეს რა რიცხვია?

— ცხრამეტი აგვისტო, არა, ვანიკა?

— მართლა ამბობთ?

— მოსატყუარი რა გვაქვს, შენი ჭირიმე. მეტი გეგონათ თუ ნაკლები?

— ნაკლები... ამას ვინ იფიქრებდა!

— აბა, ვანიკა, შენებურად დატრიალდი, გუდას თავი მოხსენი. ბიჭები მომშეული არიან. წყაროსთან ჩავიდეთ. არაყიც გვაქვს წამოღებული. აგრე კი არ გეგონოთ საქმე! რამდენსაც გულით მოიწადინებთ, სვით და ჭამეთ. ჩვენი თავი თქვენ გენაცვალოთ! მართლა ბიჭები არ ყოფილხართ! ვაჟკაცობაც ამასა ჰქვია!

ვაჟკაცობისა რა მოგახსენოთ, სტუმართმოყვარე ძმებს კი წელმოწყვეტილი და მუხლებმოკვეთილი ავედევნეთ. გადა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანილმა სატანჯველმა ახლა თითქოს ერთბაშად დაგვრია ხელი. რაკი გულმა სამშვიდობოს გასვლა იგრძნო, ძალა უდროო დროს შემოგველია და ნაბიჯს ძლივსღა ვადგამდით. ძმებმა უმალ შეგვნიშნეს, რა დღეშიც ჩავვარდნილიყავით, მოგვიტრიალდნენ, სასწრაფოდ, თითქოს შეშინებიათ, სხვამ არავინ მოგვასწროსო, აგვყარეს მთელი იარაღ-საჭურველი და თავიანთ ბარგთან ერთად ისიც თვითონ აიკიდეს.

გულს დამაღონებელი ეჭვი მიღრღნიდა. ჩვენს თავს უთუოდ ცუდი ამბავი იყო. მერაბი მეცოდებოდა და ვერაფერი გავამხილე. თქმა რაღად უნდოდა, ისიც იმასვე ფიქრობდა, რასაც მე, მაგრამ ალბათ იმავე მიზეზით ერიდებოდა თავისი დაეჭვების გამომჟღავნებას. ბესა და ვანიკა კვლავ მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდნენ და ერთთავად ბილიკზე ეჭირათ თვალი.

ჯერ დაგვიანებული საუზმე თუ სადილი მოთავებულიც არ გვქონდა, როცა ბესამ უმცროსი ძმა განზე გაიხმო, იქ რაღაც უჩურჩულა და მერე მარტო დაბრუნდა უკან.

— ვანიკა რა უყავი, კაცო? — ტოლივით შევეკითხე.

ბესა ქვაზე ჩამოჯდა, ნიდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და დინჯად მიპასუხა:

— მთაზე ავა, ხალხს შეატყობინებს, რომ აქა ხართ. ნელ-ნელა ვიაროთ. მნაში, მე მგონია, დაგვეწევიან. ხიდთან მანქანა დაგვხვდება.

— ხომ არაფერს გვიმალავ, ბესა? — მერაბმა ერთხელ კიდევ სცადა ჩვენი მხსნელის გამოტეხა, — ახლავე გვითხარი. მამას ვფიცავ, გვირჩევნია!

— არა, არა, — ბესა ისევ აიბნა. ბუნების შვილი იყო და ტყუილის თქმა უმძიმდა. — რატომ უნდა გიმალავდეთ, ბავშვები ხომ არა ხართ. თქვენ და რამეს დაგიმალავთ?

ამას მართლა გულწრფელად ამბობდა. ჩვენით ნამდვილად აღტაცებული იყო და აღარ იცოდა, რით ვესიამოვნებინეთ.

— კარავში ავადმყოფი ამხანაგი გვყავდა, — მერაბმა უფრო დააზუსტა სათქმელი, — კოტე ვეშაპელი...

— ყაზბეგში წევს. საავადმყოფოში. ჯერ არ ვიცით... ოჰ, სულაც რა განგებამ გადაგარჩინათ! ჩვენ, რაღა დაგიმალოთ, დიდი ხანია დაღუპული გვეგონეთ ყველა.

— მამაჩემიც?

— შიოს ჯგუფი იმავე საღამოს დაბრუნდა ბანაკში.

ეს კი წარმოუდგენელი ახალი ამბავი იყო. მე და მერაბმა ერთმანეთს შევხედეთ და მერე ისევ მივაჩერდით ბესას, რომელიც თითქოსდა სხვის ამბავს გვიყვებოდა.

— დილასაც რომ არ გაჩნდით, — განაგრძო მან, — განგაში აუტეხათ, ყაზბეგში დაეძახათ რადიოთი. სამი დღე ზედიზედ თოვდა. ეს ტიალი ქარიც არ ჩადგა! ჩვენს მამა-პაპას



არ ახსოვს ამისთანა ამინდი ჯიმარაიზე. რას წაეკარებოდი? ბანაკამდე კი ამოვიდნენ თბილისიდან გამოგზავნილი კაცები, მაგრამ იმას ზევით კი ვეღარავინ გაბედა წასვლა. არც შიო გაუშვეს. დღე და ღამე თავზე ადგნენ და ყარაულობდნენ. ეჰ! — ჯავრნაჭამმა ბესამ ხელი ჩაიქნია და ადგა, — ახლა, მადლობა ღმერთს, ყველა უბედურება უკან არის ჩამოტოვებული. თქვენი ბარგი-ბარხანა აქ დავტოვოთ. მე ვანიკას ამბავი დავუტოვე. ისინი ჩამოივლიან და წამოიღებენ...

ამაზე უარი აღარ გვითქვამს. სამწუხაროდ, აღარც ტვირთის მოხსნამ გვიშველა. ტვირთი უკვე აღარ გვამძიმებდა, მაგრამ ახლა, სამაგიეროდ, სხეული დამძიმდა, საშუადღეოზე ასული მზის მცხუნვარებაც აუტანლად მოგვეჩვენა და ძილიც მოგვერია. ბესა შუაში ჩაგვიდგა. ხან ერთს შეგვიდგებოდა მხარში, ხან მეორეს, ხან ორივეს ერთად, თან რაღაც თავშესაქცევ ამბებს გვიყვებოდა და მარტო თვითონ როხროხებდა. ერთი სიტყვა რომ სიტყვაა, ისიც კი არ გამიგონია. თვალები სანახევროდ დახუჭული მქონდა და ალალბედზე მივბარბაცებდი.

სოფელში ჩასვლისას ბესამ პირზე ბოქლომი დაიდო. შინ აღარ შეუპატიჟებივართ, ამან კიდევ უფრო გამიძლიერა ეჭვი. თუ მართლა მშვიდობა იყო, ეს სტუმართმოყვარე კაცი, ხეობაში მოსული უცხო ადამიანის ნახვა რომ უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდა, თავისი ეზოს ჭიშკართან აგრე როდი ჩაგვატარებდა. შუკებში ქალები და ბავშვები იდგნენ და გულხელდაჭდობილნი უხმოდ შემოგვყურებდნენ. ცნობისმოყვარეობისაგან ყველას თვალები გაფართოებოდა. ჯოგის ქოფაკები ისევ დაემწყვდიათ და მათი ყეფა-ძაძგანი გომურებიდან გამოდიოდა.

სატვირთო მანქანა, როგორც ბესამ თავსავე გვითხრა, თერგის ხიდთან დაგვიხვდა. შოფერი ბოდიშობდა, ხეობაში გზა გაგვიფუჭდა და უფრო ზევით ვერ ამოვედიო.

— ციცინო არც აქ არის, — ამდენი თავშეკავების შემდეგ მერაბმა და ახსენა. გული მადლიერებით ამევსო. ბესას ხარბად შევხედე თვალებში, არაფერი მოგვატყუოს მეთქი.

— ის და ორი სხვა გოგო ავადმყოფ ამხანაგს გააყოლეს ყაზბეგში, — უბრალოდ თქვა ბესამ, — თავზე ადგანან.

ჩემი განსაკუთრებული დაინტერესება მას, მგონი, არ შეუმჩნევია, არც ის, როგორ გამკენწლა სამარცხვინო და მდაბალმა გრძნობამ — შურმა, როგორ ვინატრე კოტეს ადგილას ყოფნა თუნდაც სიკვდილის სარეცელზე...

— ასე მძიმე ავადმყოფია? — თავისთვის ჩაილაპარაკა მერაბმა და გაშტერდა.

ბესამ თავი გადაიქნია და, იმის მაგიერ, რომ კიდევ ეთქვა რამე, უკან მიმქროლავ მწვანე სერებს დაადგა თვალი.

## ეპილოგი

შინ ჯგუფ-ჯგუფად დავბრუნდით. უკანასკნელმა ჯგუფმა, რომელსაც ლაშქრობის ხელმძღვანელები, ციცო და თბილისიდან ჯიმარაიზე სხვა გამოცდილ მთამსვლელებთან ერთად საგანგებოდ ამოსული დეიდა მაკო შეადგენდნენ, თავზარდამცემი ამბავი ჩამოიტანა. ყაზბეგელ დოსტაქრებს კოტე ვეშაპელისათვის ბარძაყის სახსარში მოეკვეთათ მარჯვენა ფეხი და ამ დიდი მსხვერპლის გაღებით ეხსნათ სიკვდილის პირზე მისული ბიჭის სიცოცხლე.

ასე გათავდა ყველაფერი. ჩემთვის და ყველა იმისათვის, ვისთვისაც ეს ამბავი გამოუსწორებელ პირად უბედურებად იქცა. რაღაც ახალი დაიწყო. დამთავრდა ბავშვობა და დაიწყო ბევრად უფრო ძნელი და რთული რამ — ცხოვრება...



# შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ქანდაკება

## რომანული და გოთური პერიოდი

შუასაუკუნეების პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნების მნიშვნელოვანი ფაქტორი ქრისტიანული რელიგია იყო, იგი განაპირობებდა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შინაარსს და ამ შინაარსის გამომსახველ ფორმას. ყურადღების ცენტრში იდგა სულიერი სამყარო, ღმერთი და იმქვეყნიური ცხოვრების წარმოდგენასთან დაკავშირებული ინტერესები. უარყოფილ იქნა სხეული, მისი მატერიალური ბუნება. ამის შედეგად, ბუნებრივია, რომ ადამიანს, მისი სხეულის სიმშვენიერის და გარემოცვის ასახვას სახვით ხელოვნებაში ისეთი ადგილი აღარ უკავია, როგორიც წინა პერიოდში, ანტიკურ ხანაში ეკავა.

სახვითი ხელოვნების ყოველ დარგს ახასიათებს თავისი სპეციფიკა: ქაღალდზე, ტილოზე ფანქრით ან საღებავებით შესრულების დროს ჩვენ საქმე გვაქვს გარკვეულ სიბრტყესთან და მთელი სიძნელე ის არის, თუ როგორ უნდა აისახოს რეალური სამგანზომილებიანი სივრცე ამ სიბრტყეზე. ქანდაკების ნაწარმოებს კი ახასიათებს ფორმების გადმოცემა რეალურ მოცულობებში. ქანდაკების ნაწარმოები იმავე რეალურ სივრცეშია, რომელშიაც იმყოფება მაყურებელი. და სწორედ ამ თვისებების გამო, მატერიალური ბუნების უარყოფა ქანდაკების ნაწარმოებში უფრო შესამჩნევია.

მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის მსოფლმხედველობის გაგების საფუძველზე შეიძლება გაირკვეს საკითხი, თუ რატომ იქნა მივიწყებული ქანდაკების ის უდიდესი მიღწევები, ფიდიასის, პოლიკლეტის, პრაქსიტელის და ძველი საბერძნეთის სხვა მოქანდაკეთა ნაწარმოებებს რომ ახასიათებდა.

რა თქმა უნდა, ეს გარდატეხა აზროვნებაში თანდათანობით მოხდა. საუკუნეების მანძილზე მუშავდებოდა ახალი მხატვრული ხერხები. მაგრამ გარდა ქრისტიანული მსოფლმხედველობისა, დასავლეთ ევროპის ახალი ხელოვნების შექმნაში დიდი როლი შეასრულა სხვა ამბავმაც: ქრისტიანობის დამყარების პირველი საუკუნეების მანძილზე ევროპას თავს დაესხნენ ბარბაროსები. ამან, რა თქმა უნდა, დააჩქარა ანტიკური კულტურის დაქვეითება. თანაც ბარბაროსულ ტომებს თავიანთი კულტურა მოჰქონდათ. ეს ტომები ვერ შეედრებოდნენ ბერძნებს ადამიანის სხეულის სილამაზის ასახვაში, პირიქით—კიდევაც ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ანტიკური ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორც მათთვის უცხო ღმერთების გამოსახულებებს. მათი ყურადღება მიპყრობილი იყო მორთულობის საგნებისაკენ; ამის შედეგად ვითარდება სამკაულების დეკორაციული ხელოვნება. სამკაულების ზედაპირი დაფარულია რთული ორნამენტით, სადაც ერთმანეთშია გადახლართული ფანტასტიკური ცხოველების ფიგურები და გეომეტრიული მოტივები. ბარბაროსული ტომების ორნამენტულ-სიბრტყობრივი ხელოვნება და ქრისტიანული რელიგიის მიერ მატერიალური სხეულის უარყოფა საფუძვლად დაედო დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეების ქანდაკებას და გავლენა იქონია მის განვითარებაზე მაშინაც კი, როდესაც ანტიკური ხანის ძეგლებისადმი ინტერესმა გაიღვიძა.

დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეების ქანდაკებას ტყუილად კი არ უწოდეს „ქვით ქადაგება“. აქ გადაშლილია მთელი ძველი და ახალი აღთქმის ისტორია. მაგრამ, ამასთან ერთად, რომანულ ტაძარზე გვხვდება ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებები. ამ გამოსახულებათა საწყისს უნდა ვხედავდეთ ძველ ბარბაროსულ წინაქრისტიანულ წარმოდგენებში, რომლებიც ვერ წაშალა შუასაუკუნეების ადამიანის აზროვნებაში ქრისტიანულმა რელიგიამ. რქიანი ცხოველები, უზარმაზარი ლომები ჰფარავენ ტაძრის კედლებს, გარს ეხვევიან სვეტისთავებს. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფანტასტიური, საშინელი ურჩხულები გამოყენებულია კარის სახელურების დასაჭერად.

ამ ქანდაკებებში თვალს ხვდება პროპორციების დარღვევა, სხეულის ნაწილების (თვალები იქნება ეს, თუ ხელები) უზომო გადიდება. მაგრამ დეტალების ამგვარ გადიდებაში, რომელიც არღვევს ფიგურების ნორმალურ, პროპორციულ აგებას, უსუსურობა, უვიცობა კი არ უნდა დავინახოთ, არამედ გარკვეული მიზანდასახულება. ამით ყურადღება კონცენტრირებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეულ სულიერ განცდაზე. გადიდებული ხელები მიუთითებს ლოცვის ან კურთხევის მოქმედებაზე, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის აქტზე. სახეებში ხაზგასმულია ფართოდ გახელილი, გადიდებული თვალების მზერა, ხოლო თვით სახის ნაკვთების პლასტიკური დამუშავება მეორეხარისხოვან ამოცანად გვევლინება.

ქანდაკების ნაწარმოებთა ასეთი მისწრაფების შედეგად, საერთო კომპოზიციაში წინ დეტალების რეალური გადმოცემა კი არ წამოიწევა, არამედ ფიგურების ისეთი დამუშავება, რომელიც ემსახურება მატერიალური ბუნების უარყოფასა და, ამასთან ერთად, საერთო დეკორაციული ანსამბლის შექმნას. საკმარისია გადავხედოთ ქრისტეს გამოსახულებას ვეზელეს ტაძრის შესასვლელის თავზე (ტიმპანში): სპირალური ხვეულები ფიგურის მუხლებზე, პარალელური ხაზების დაპირისპირება ფეხებზე, შორს არის ტანისამოსის ნაოჭების მოცულობითი გადმოცემისაგან და ორნამენტულად ანაწევრებს ზედაპირს. ხაზების დინება არ ითვალისწინებს ტანსაცმლის ნაოჭების ბუნებრივ განლაგებას, მათ ქვეშ არ იგრძნობა ადამიანის სხეულის მოცულობითი ფორმები, მისი ანატომიური აგებულება. შეადარეთ აფროდიტეს ძველბერძნულ გამოსახულებას — ქანდაკებაში დამაჯერებლად არის გადმოცემული თხელი, გამჭვირვალე ქსოვილის ფაქტურა ან სველი ქსოვილის ნაოჭები, რომლებიც მჭიდროდ ეკვრის სხეულს და კიდევ უფრო ძლიერად გამოჰყოფს მის აგებულებასა და ფორმებს. ვეზელეს სკულპტურაში ცალკეული ფორმების უმნიშვნელო მომრგვალება (მაგ. ქრისტეს მარჯვენა ფეხი ან მისი სახის ნაკვთები) არ არღვევს ამ ძირითად შთაბეჭდილებას — გამოსახულების სიბრტყობრიობას და დეკორაციულობას. ფიგურის ფრონტალურად გაშლილი ზედა ნაწილის დაპირისპირება გვერდით (მარჯვნივ) მიბრუნებულ მუხლებთან აშკარად გვიჩვენებს, რომ ფიგურა თავისუფლად არ მოძრაობს სამგანზომილებიან სივრცეში; მუხლებისა და ფეხების მიბრუნება წინა პლანიდან სიღრმისაკენ კი არ იკითხება, არამედ, ფიგურის ყველა დეტალის ერთ სიბრტყეში განლაგების შთაბეჭდილება იქმნება, ე. ი. უარყოფილია ფიგურის რეალური, მოცულობითი გადმოცემა. სამაგიეროდ, ძლიერად არის გადიდებული გაწვდილი მტევანი. ამ გადიდებაში იგრძნობა ხაზგასმული ემოციურობა, უესტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა კომპოზიციაში მთავარი ფიგურის გადიდება. იმავე ვეზელის პორტალის (საზეიმოდ გაფორმებული შესასვლელი) კომპოზიციაში ქრისტეს გამოსახულება უპირისპირდება მასთან შედარებით ბევრად მცირე ზომის დანარჩენ ფიგურებს.

რომანული პერიოდის (X-XII საუკუნეები) ქანდაკებას შინაგანი დაძაბულობა, ექსპრესიულობა ახასიათებს, რასაც ემსახურება ცალკეული დეტალების ემოციური გადიდება და ფიგურების ზედაპირის მოძრავი ხაზებით შევსება. მოძრავი ხაზების დინება, კომპოზიციის ცალკეული დეტალების განლაგება და მათი შეფარდება ჰქმნის საერთო ორნამენტულ ნახატს, რაც თავისთავად კვლავ მთავარ ამოცანას — სხეულის მატერიალურობის უარყოფას ემსახურება.

რომანული ხელოვნების მწვერვალად შარტრის ტაძრის დასავლეთის პორტალის ქანდაკება ითვლება. გარდა ტიმპანში მოთავსებული რელიეფური გამოსახულებისა, აქ მოცემულია მრგვალი ქანდაკება, ე. ი. ფიგურები, რომლებიც ფიზიკურად თითქმის მთლიანად გამოყოფილია ფონისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაში შესამჩ-



რომანული ხელოვნება. ურჩხულის გამოსახულება. ქიმერები.

ნევია ფიგურული ქანდაკების დამოკიდებულება პორტალის შემამკობელ სვეტებთან. ადამიანის გამოსახულება თითქმის შერწყმულია ამ სვეტებთან და მათთან ერთად ექვემდებარება პორტალის რიტმულ დანაწევრებას. ამ ფიგურების ანსამბლში (საერთო ხედში) წინა პლანზე ისევ დეკორაციული პრობლემაა წამოწეული, მაგრამ მოცულობა ჯერ კიდევ განზოგადებულია: ფიგურა საერთო მასაში იკითხება. უმნიშვნელოდ, უკვე ჩანს ანატომიური დეტალების შეგრძნობა, ცალკეული მოცულობის დაპირისპირება. ძირითადი შთაბეჭდილება ისევ ნაოჭების ორნამენტული გადმოცემით იქმნება. (ეს ხაზები არ ექვემდებარება სხეულის აგებულებას და არ სცილდება ფიგურების ზედაპირის დეკორაციული მორთულობის ამოცანას).

თავები საგრძნობლად პლასტიკურად არის დამუშავებული, მაგრამ ფიგურა მაინც ისე იკითხება, როგორც მთლიანი, ჯერ კიდევ მცირედდანაწევრებული ბლოკი. რომელიც შებოჭილია სვეტთან დამოკიდებულებით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთმა ფიგურამ შეძლოს თავისუფლად მოძრაობა. ფიგურების დაყენება, ხელების, წიგნის და სხვა დეტალების განლაგება არ სცილდება სვეტის ფორმას, მის საზღვრებს.

რომანული ხელოვნებისა და მისი მომდევნო პერიოდის — გუთური* ხელოვნების საზღვრები მე-12 საუკუნის შუა წლებისა და მე-13 საუკუნის დასაწყისის ფარგლებში ექცევა.

გუთურ ტაძრებს დღევანდელი მაყურებელიც კი განცვიფრებაში მოჰყავს: რომანული, ჩაბნელებული ტაძრების მძიმე ფორმების ნაცვლად — ისრისებურ თაღე-

* ტერმინები „რომანული“ და „გუთური“ — პირობითია და სრულიად არ ნიშნავს ამ ხელოვნებათა დამოკიდებულებას რომაელებისა და გოთების (ბარბაროსთა ტომები) ხელოვნებასთან.

ბიანი, მსუბუქი კედლები, უხვი განათება და უსასრულო მისწრაფება სიმაღლისაკენ...

გუთურ ხელოვნებაში, ისევე როგორც რომანულში, სახვითი ხელოვნება, კერძოდ, სკულპტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტაძართან. მაგრამ რომანულ ფიგურებთან შედარებისას, გუთურ სკულპტურაში დიდი წინსვლა იგრძნობა ფიგურის მოძრაობის გადმოცემაში.

ფიგურის გადმოცემაში ამგვარ თავისუფლებას, ქრისტიანული ხელოვნება გუთურ ხელოვნებამდე არ იცნობდა.

რომანულ ძეგლებში ფიგურის მოძრაობა დრამატულად ხაზგასმული მოქმედების შინაარსს ექვემდებარება (კურთხევის ჟესტი). გუთურ ქანდაკებაში, ფიგურის მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი მოძრაობის შთაბეჭდილება მიღწეულია მისი თავისუფალი დაყენებით და ხაზგასმულია ტანისამოსის ნაოჭების რბილი დინებით.

კიდევ ერთი რამ განასხვავებს გუთურ სკულპტურას რომანული ხანის ქანდაკებისაგან: ფიგურის ტანსაცმლის ბუნებრივად განლაგებულ ნაოჭებში იგრძნობა რეალური მოცულობა, მათი ნახატი ექვემდებარება სხეულის აგებულებას, მოძრაობას.

ფიგურის თავისუფალი დაყენება ძველი ბერძნული ხელოვნების სკულპტურულ კონტრაპოსტს მოგვაგონებს. (ფიგურის ერთ ფეხზე დაყრდნობაა, მაგრამ ბერძნულ ქანდაკებაში მკაფიოდ იგრძნობა სხეულის სიმძიმე. გავიხსენოთ პოლიკლეტის ათლეტების ფიგურები); გუთური ფიგურის დათვალიერებისას კი ძნელია გარკვევა, თუ რომელ ფეხს ეყრდნობა იგი. ოდნავ გამოწეული ფეხი შეწყობილია ტანსაცმლის ნაოჭების რბილ დინებასთან, რაც ფიგურას ოდნავ შესამჩნევ, მოსრიალე მოძრაობას ანიჭებს.

10.663

ფიგურის სიმძიმის რეალური ასახვის მაგივრად, მასში ისეთი სიმსუბუქეა მიღწეული, რომ გეგონებათ ეს-ეს არის მოსწყდება თავის კვარცხლბეკსო (საყრდენს, რომლის როლს უმთავრესად სვეტისთავი — კაპიტელი ასრულებს).

ადამიანის სხეულისათვის არაბუნებრივ სიმსუბუქესთან (რომელშიაც აისახა ზეციური უსასრულობისაკენ მისწრაფება) პლასტიკურად დამუშავებული ფორმების და განთავისუფლებული მოძრაობის დაპირისპირებაში მჟღავნდება გუთური ქანდაკების თავისებური შინაგანი წინააღმდეგობა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს გუთური ფიგურებისათვის დამახასიათებელი თავისებური ღიმილი, ეგრეთწოდებული „გუთური ღიმილი", რომელიც სკულპტურულ გამოსახულებას ღრმად ჩაფიქრების იერს ანიჭებს. ეს ღიმილიც ემსახურება მთავარ მისწრაფებას — უარყოფილ იქნეს ფიგურის მიწიერი სრულყოფა, თუმცა ფორმები დამაჯერებლად, პლასტიკურად არის დამუშავებული.

ეს წინააღმდეგობა გუთურ ქანდაკებაში უფრო შესამჩნევია, თუ გავითვალისწინებთ, ერთ მხრივ, ტაძრის მორთულობის რთული სისტემის დამოკიდებულებას რელიგიურ დოგმატურ აზროვნებასთან, მეორე მხრივ კი — გუთურ ხელოვნებაში სიცოცხლით აღსავსე ჟანრული სცენების, აგრეთვე საერო პირთა მეტყველ პორტრეტულ გამოსახულებათა არსებობას. რეიმსის ტაძრის ქანდაკებების გვერდით აღსანიშნავია, აგრეთვე, სტრასბურგის ტაძრის სკულპტურული გამოსახულებები (XIII ს.).

მაგრამ, თუმცა ეს მეტყველი ჟანრული სცენები საინტერესო იყო და ადამიანის ფიგურას პლასტიკურად, რეალურ-მოცულობითი ფორმებით ასახავდა, გუთური ხელოვნება მაინც მთლიანად ემსახურებოდა ქრისტიანული რელიგიის ამოცანებს. ამის გამო იგი შორს იდგა იმ მიღწევებისაგან, რომელიც დამახასიათებელია ეგრეთწოდებული ადრინდელი აღორძინების პერიოდის ხელოვნებისათვის იტალიაში, სადაც ძველი აღთქმის (ბიბლიის) ანდა ახალი აღთქმის (სახარების) სიუჟეტები და ცალკეული ფიგურები, უპირველესად, გამოხატავდა მიწიერი ადამიანისადმი ინტერესს. მე-15 საუკუნის იტალიელი მოქანდაკის დონატელოს ნამუშევარი — ბიბლიური პერსონაჟი დავითი, უპირველეს ყოვლისა, სრულიად მიწიერი ახალგაზრდა ადამიანია, რომლის შიშველი ტანი მშვენიერებით არის აღსავსე. ინტერესების ასეთ გარდატეხას ანტიკურ ხელოვნებაში ადამიანის სრულყოფილ შეგრძნობას უკავშირებენ. და ამიტომაც, გუთური ხელოვნების შემდგომ პერიოდს, თუმცა ეს ხელოვნება ანტიკური ხელოვნებისაგან სრულიად განსხვავებული იყო, ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს ხ ა ნ ა ს უწოდებენ.

გაიანე ალიბეგაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.



გუთური ხელოვნება. რეიმსის კათედრალის სკლუპტურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო...

ბავშვებო! ყველა თქვენგანისათვის არის ცნობილი, თუ რამდენ შორს გაითქვა სახელი ბევრმა ჩვენმა თანამედროვე ქართველმა მწერალმა, მეცნიერმა, ხელოვანმა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანმა... ცხადია, დიდად საინტერესოა თვითეული ამ მოღვაწის მდიდარი ბიოგრაფია. მაგრამ ჩვენ უპირველესად გვაინტერესებს მათი ცხოვრების ის პერიოდი, როცა ისინი თქვენი ხნისანი იყვნენ: რას მიელტვოდნენ იმ დროს, რა ახარებდათ, რა აწუხებდათ...

რედაქციამ სთხოვა ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ადამიანებს, გვესაუბრონ შემდეგი კითხვების გარშემო: 1. რა იყო თქვენი სანუკვარი ოცნება, როცა 14 წლისა იყავით? 2. გყავდათ თუ არა იმ დროს გულითადი მეგობარი და გაგიმართლათ თუ არა ამ მეგობრობამ შემდეგომში? 3. რას ისურვებდით თქვენთვის, ამჟამად რომ 14 წლისა იყოთ?

რედაქციის ამ თხოვნას ხალისით გამოეხმაურნენ ჩვენი სასიქადულო მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები და სხვა ცნობილი ადამიანები. თვითეული მათგანის საუბარი პერიოდულად გამოქვეყნდება ჩვენს ჟურნალში. ვფიქრობთ, ეს საუბრები დიდად საგულისხმო იქნება თქვენთვის—„პიონერის" მკითხველებისათვის.

ამჯერად მოვუსმინოთ გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერს, აკადემიკოს **გიორგი ახვლედიანს** და საქართველოს სახალხო მხატვარს. რუსთაველის პრემიის ლაურეატს **ლადო გუდიაშვილს.**



ჩემი მშობლიური სოფელი დერჩი რიონის მარცხენა მთის კალთაზეა შეფენილი, ლეჩხუმის მხარეს.

ამ ლამაზ სოფელში გავატარე ბავშვობა. დავასრულე თუ არა სამრევლო სკოლა, მშობლებმა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში გადამიყვანეს.

ასე 13-14 წლისა ვიქნებოდი. ლექსების წერა მეხალისებოდა, მეხერხებოდა კიდეც. მეგონა განთქმული პოეტი გამოვიდოდი და ჩემი ლექსები სასწავლო წიგნებში ილიას, აკაკისა და რაფიელ ერისთავის ლექსებთან ერთად მოთავსდებოდა.

ასეთი ოცნების ერთგვარი საფუძველი ის იყო, რომ ქართული ენის შესანიშნავ მასწავლებელს სილოვან ხუნდაძეს ჩემი ლექსები მოსწონდა.

თითქმის იმავე დროს მსახიობობაზეც ვოცნებობდი. მოხიბლული ვიყავი ლადო მესხიშვილისა და ნუცა ჩხეიძის უბადლო მსახიობური ნიჭით.

თეატრის სიყვარული რუსული ენის მასწავლებელმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა გამიღვივა.

ისე ვიყავი გატაცებული, ერთ წარმოდგენას არ ვაკლდებოდი.

თეატრის სიყვარული მხოლოდ იმით მოვიკალი, რომ სტუდენტობის დროს ჩემს სოფელსა და ცაგერში წარმოდგენებს ვმართავდი და მთავარ როლებს მე თვითონ ვასრულებდი.

ვასრულებდი ლევან ხიმშიაშვილს — „სამშობლოში", ოთარ ბეგს — „ღალატში" და სხვა.

პოეტობა და მსახიობობა ჩემი ყმაწვილური ოცნება იყო და ბავშვობასთან ერთად, ორივე შორს გამიფრინდა.

როცა ბავშვობას ვიგონებ, არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო ის ამაგდარი ადამიანები, რომელთაც კეთილი კვალი გაავლეს ჩემს სულსა და გულში. ესენი იყვნენ შესანიშნავი პედაგოგები: იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი და ქართული სცენის მშვენებანი: ლადო მესხიშვილი და ნუცა ჩხეიძე...

აქვე მინდა გავიხსენო ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იან ენძელინი, რომელმაც წარმართა ჩემი შემდგომი მეცნიერული მუშაობა. მე უკვე ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ვმუშაობდი მასწავლებლად, პროფესორი ენძელინი ჩემს ძმას შეხვედროდა ხარკოვში და ეთქვა: „თქვენი ძმა მეცნიერებისათვის არის მოწოდებული, მისწერეთ სასწრაფოდ ჩამოვიდეს, საპროფესოროდ მოსამზადებლად უნდა წარვადგინოთ"...

და მეც გავყევი ჩემი მასწავლებლის შერჩეულ გზას...

უმეგობროდ ადამიანს რა ფასი აქვს!

მთელი ცხოვრების მანძილზე გამოგვყვა ის დიდი მეგობრობა, რამაც ბავშვობაშივე დაგვაკავშირა მე, აკაკი ფაღავა და ნიკოლოზ ჭუმბურიძე. განსაკუთრებით ახლო მეგობრები დავრჩით მისი გარდაცვალების უკანასკნელ დღემდე მე და აკაკი ფაღავა, რომელიც გამოჩენილი თეატრმცოდნე გახლდათ, პროფესორი.

შემდგომ, ჭაბუკობის დღიდან მოყოლებული დიდი მეგობრები ვიყავით მე და დიმიტრი უზნაძე*. ამ მეგობრობაზე კი ცალკე გიამბობთ.

ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო, აღარ ვიოცნებებდი პოეტობასა და მსახიობობაზე. უფრო მეტ დროს და ენერგიას მოვანდომებდი სხვადასხვა ენების, როგორც ქართველურ, ისე სხვა კავკასიურ და უცხოურ ენათა შესწავლას.

* ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი (რედ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სწორედ თოთხმეტი წლისა ვიყავი, პირველად რომ გამოვედი სამხატვრო ასპარეზზე. დავასურათე ერთი მოთხრობა (სათაური აღარ მაგონდება), რომელიც ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა.

ამ პირველმა სიხარულმა გზა გაუხსნა ჩემს შემდგომ შემოქმედებითს ოცნებებს. გულით მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი: მთელი სიცოცხლის მანძილზე უზომო შრომისმოყვარეობით ვილტვოდი ამ სურვილის აღსასრულებლად.

მე ისე ვიყავი ანთებული და გატაცებული შემოქმედებითი შრომით, რომ ჩემმა ოცნებამ ფრთა შეისხა.

1919-1926 წლები პარიზში დავყავი, სადაც მსოფლიო მხატვრულ შედევრებს გავეცანი, შემდგომ სამშობლოში დავბრუნდი. კომუნისტური პარტიის დახმარებით მე ყოველმხრივ ხელი შემეწყო ჩემს შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში. მეც, ჩემს კოლეგებთან ერთად, ყოველნაირად ვცდილობდი მტკიცედ დავუფლებოდი სოციალისტური რეალიზმის პოზიციებს: შევქმენი ტილოები ჩვენი სოციალისტური მშენებლობის თემაზე, დავხატე მოწინავე ადამიანების პორტრეტები. ჩემი მიზანი ის გახლდათ, რომ ფერებით გამეცოცხლებინა ჩვენი სოციალისტური სამშობლო და ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანი. ადამიანი ჩემი ოცნების უმაღლესი იდეალი გახლავთ. ვცდილობდი ჩემს შემოქმედებაში დიდი ჰუმანურობა, ბოროტთან კეთილის ბრძოლა მეჩვენებინა და, საერთოდ, უკეთილშობილესი, ფაქიზი ზნეობის მქონე საბჭოთა ადამიანის ყველა თვისება გადმომეცა.

ჩემი სიცოცხლის ბოლომდე ამ იდეის მსახური ვიქნები. ადამიანი მე იმ ძალად წარმომიდგენია, მხოლოდ კეთილის დასანერგავად რომ მოქმედებს. ეს რწმენა განმიმტკიცეს ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა: ნიკო ფიროსმანმა, დავით კაკაბაძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ, ირაკლი აბაშიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ანდრე სალმანმა, პიერ ვორისმა, ამედეო მოდილიანმა და მრავალმა სახელოვანმა, ჰუმანისტმა ადამიანმა, რომელთაც გამიცხოველეს კეთილისაკენ მისწრაფება.

ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო, მე ისევ მხატვრობაზე ვიოცნებებდი, ვიოცნებებდი ისეთი შემოქმედი ვყოფილიყავი, როგორიც დღესა ვარ, ამ მხრივ ჩემი სურვილი ემთხვევა ჩარლი ჩაპლინის სურვილს: „ჩემი ოცნებაა ყოველ დროს ჩარლი ჩაპლინად დავრჩე“.






გოეთე: ...ხანდახან გვგონია, რომ მთლიანად დავაღწიეთ თავი ცრუმორწმუნეობას, ნამდვილად კი იგი საიდუმლო კუნჭულებშია მიმალული და უეცრად კვლავ გამოჩნდება, როგორც კი სრულიად უხიფათოდ იგრძნობს თავს.

ვოლტერი: ცრუმორწმუნენი საზოგადოებაში იგივენი არიან, რაც მხდალები ჯარში: მათ თვითონაც ეშინიათ და სხვებსაც აღუძრავენ პანიკურ შიშს.

ბ. ბელინსკი: (XIX საუკუნის რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი): ყველაფერი, რაც არ იცის და შეცნობილი არა აქვს, ადამიანს საშინელ საიდუმლოებად ეჩვენება. და აი, ჩნდებიან გრძნეულები, ჯადოქრები, ბოროტი სულები, ფრთოსანი გველები, თეთრი გველები, ალები და კუდიანები.

ვ. ი. ლენინი: რელიგიურ ცრუმორწმუნეთა ყველაზე ღრმა წყარო სიღატაკე და სიბნელეა. სწორედ ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ.

ე. ზოლა: (XIX საუკუნის ფრანგი მწერალი): ცრუმორწმუნეობა სახიფათოა, იმის ფიქრი, რომ ის არსებობს, გარკვეული სილაჩრეც კია. თუ მას მოთმინებით მოვეკიდებით, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სამუდამოდ შევურიგდეთ უმეცრებას, დავუბრუნდეთ შუასაუკუნეების წყვდიადს? ცრუმორწმუნეობა ადამიანს აკნინებს, გონებას უჩლუნგებს...

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი: ..ადამიანს ათეიზმი კი არ ამცირებს, არამედ ცრუმორწმუნეობა და კერპთაყვანისმცემლობა.

კ. ჰელვიციუსი: (XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი): ჰოი, ცრუმორწმუნევ! დაუბრუნდი ბუნებას, ის განუგეშებს შენ, ის განდევნის შენი გულიდან დამაბეჩავებელ შიშს.

პ. ჰოლბახი: (XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი): ადამიანი მხოლოდ იმიტომ არის ცრუმორწმუნე, რომ მფრთხალია, მფრთხალი კი მხოლოდ იმიტომ არის, რომ უვიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საზღვარგარეთ მიმავალი ჩქარი მატარებელი

დაე, შემკივლოს ორთქლმავალმა
და გამაქროლოს,
უცხო მინდვრები, უცხო მთები
გადამატაროს.

მინდა ვიხილო შორეული
უცხო ქვეყნები,
უცხო ბიჭუნებს და გოგონებს,
ვიცი, შევხვდები.

გავიცნობ ბავშვებს, გავიგონებ
ჩეხურს და ფინურს,
ბერძნულს და ფრანგულს,
თურქულს, სპარსულს,
რუსულს და ჩინურს.

„სალამი! — მეტყვის ჩეხი ბიჭი, —
სად ხარ აქამდის?“
მე ვერ გავიგებ და პასუხად
ვეტყვი: „ნახვამდის!“

„დილა მშვიდობის!“ — შვედი ბიჭი
მეტყვის შვედურად,
„ღამე მშვიდობის!“ — შემეშლება
მე უნებურად.

ბევრს იცინებენ ჩინელები,
რუსები, ზანგები,
ინდოელები, არაბები
პრუსები, ფრანგები,

ააწკრიალებს უცხო ქვეყნებს
სიცილის ხმები
და იმ სიცილში სამუდამოდ
გავხდებით ძმები.





## პატარა ლექსი ზაფხულის ხვატსა და ქალაქელ ბავშვებზე

1

ხაამო არის, —
ზაფხულის ხვატში
რომ გაეცლებით
ბავშვები ქალაქს,
ხართ აგარაკზე,
სრიალებთ ზღვაში,
ან გაჭყიყინებთ
რიყეს და ჭალას.

ხოლო სჯობია
თუ სისხამ დილით
მხრებზე ჩანჩქერი
გემსხვრევათ გრგვინვით.

მაგრამ თუ მშობელს
შეძლება არ აქვს,
რომ გაგარიდოთ
ზაფხულში ქალაქს,

მაშინ მთელ ზაფხულს
ქალაქში ტყვედ ხართ,
ქვის გახურებულ
კიბეზე სხედხართ.

საწვიმარ თხრილთან
საწყლები მიხვალთ,
გადაყვითლებულ
ბალახზე ყრიხართ...

მე რომ დავესვი
ხალხს პრეზიდენტად,
უმალ უმკაცრეს
დეკრეტს დავწერდი:
ვბრძანებდი ,ყველგან
გამოეკიდათ, —
არ დარჩენოდათ
ქუჩა არც ერთი:

2

ამიერიდან,
პრეზიდენტის
დეკრეტის თანახმად,
ეკრძალვის ბავშვებს
ზაფხულობით
ცხოვრება ქალაქად.

გაყვანილ იქნეს
ჩვენი ნორჩი
შთამომავლობა
ზაფხულში ზღვაზე —
ყოველგვარ ხარჯს
იხდის მთავრობა.



3

მესამე მუხლით,
ამ ჩვენს დეკრეტს
რომელიც ავსებს,
ალპური მთები
სამუდამოდ
ეძლევა ბავშვებს.

დ ა ს ა ს რ უ ლ:

კარგი აჭამეთ
ჩვენს პატარებს
და კარგი ასვით!
ვინც ამ ბრძანებას
არ შეასრულებს —
ციხეში ჩასვით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ე შ ე ლ ო ნ ი



მიჰქრის, მიგაფრენთ
მატარებელი გრძელი —
ჯარისკაცებო, სთქვით,
რა სიმღერას მღერით?

სხედხართ და ჩექმებს
მიაქანავებთ გზაზე,
სთქვით, რას გაჰყვირით,
ჯარისკაცებო, ასე?

„მემანქანევ, საცხი წასცხე
დგუშებს სქლად და გაგვახარე.
კმარა ომი! შებრუნდი და
შინისაკენ გაგვაქანე!..“

გაჰყვიროდა ეშელონი
ამ სიტყვებს და ქროდნენ დღენი
და ეწერა ერთ-ერთ ვაგონს:
„ოთხმოცი კაცი და
თვრამეტი ცხენი.“



## ემიგრანტების მატარებელი

მსუბუქი ჩემოდანი აქვს
საწყალ ემიგრანტს ძალიან:

მშობელი მიწა ტომსიკით —
სამშობლო ქვეყნის გარეო
რათა თავი არ ჩაჰკიდოს,
არ მოიწყინოს მწარედ;

საცვალი, შარვალ-ხალათი,
პურის ნატეხი მრუდე —
ეს არის, საწყალ ემიგრანტს
რაც ჩემოდანში უდევს.

შინ, სოფლად დარჩა მთავარი:
გასივდა სევდის წყლულით
და ჩემოდანში არაფრით
არ ჩაეტია გული.

არა, და არა, არ სურდა
გულს უცხოეთში' ყოფნა
და ჰა, რაც სურდა აღსრულდა,
გული შინ დარჩა სოფლად.

ამაო იყო პაწია
ყანაში შრომა-გარჯა,
გული კი ერთგულ ძაღლივით
მაინც ყანაში დარჩა.

შეჰყვირა მატარებელმა,
სადგურში ზარმა დაჰკრა...
აგერა, ყანის ნაჭერი —
ისიც სარკმელში გაქრა!

## წნული ავეჯის ოსტატი პაწია ქალაქ ბელუნოდან

სავარძლებსა და სკამებს
თქვენთვის ამზადებს ის,
თვითონ ქვაფენილს სჯერდება.
მტვრიან ქუჩაში ზის.

ავტოქარხნელი მუშა,
ვინც დღეს მანქანებს ქმნის,
ფეხით მოჰყვება ქუჩას,
მანქანით სულ სხვა ქრის!

ფუტკარს არა აქვს თაფლი,
ფეხსაცმელები — ხარაზს,
და ხშირად მიწის მუშას
სახნავი მიწა არ აქვს!

წნული ავეჯის ოსტატიც
მაღლა არ იღებს თავს,
თვითონ ჩამჯდარა მტვერში,
თქვენთვის —
სავარძლებს წნავს!

## წ ვ ი მ ი ს შ ე მ დ ე გ



ჭექა-ქუხილის შემდეგ
პირმცინარი და ლალი
ცით გადმოდგება უცებ
შვიდფეროვანი თაღი.

ტრიუმფალური ხიდი
აღმართულია მისთვის,
ვინც მირეკ-მორეკს ღრუბლებს,
მაშასადამე — მზისთვის.

თვალი ვერ ძლება ცქერით,
ყოველის მხრიდან მოჩანს
ცაში წითლად და ლურჯად
გადმოკიდული დროშა.

საწყენი არის ოღონდ
და სამწუხარო ერთი,
რომ წუთზე მეტ ხანს ვერ ძლებს
ცაში ის უცხო სვეტი.

კვლავ რომ ვიხილოთ იგი,
უნდა ვუცადოთ ამტყდარს
ახალ ჭექას და ქუხილს,
ახალ წვიმას და ავდარს.

ეხ, ცისარტყელა უფრო
გაგვახარებდა მაშინ,
გაუავდრებლად, ტურფად,
რომ გაშლილიყო ცაში!

ილხენდნენ ყოველ მხარეში,
რაც არ ყოფილა დღემდე:
მშვიდობას — ომის გარეშე
და არა ომის შემდეგ.

თარგმნა მურმან ლებანიძემ.




სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნეტო „ნაკადულის" გუნდს გადასცემს თასს და მედლებს.

# „ნაკადული" „[illegible]" და სხვა მრავალი...

— არის!
— არ არის!
— არის, მე გეუბნები!!!
--- არ არის, არ არის!!!

მოდი და გაარკვიე: არის თუ არ არის გოლი! სამჯერ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი რომ იყო და ორივე დამხმარე არბიტრიც უმაღლესი კვალიფიკაციისა გყავდეს, ვერავის დააჯერებ, ბურთმა მიწაზე დადებულ ჩანთას გადაუარა ზევიდან, ე. ი. „შტანგა" იყო, თუ ზედ იმ ადგილას მოუხვია, სადაც წესიერ თამაშში ძელი დგას ხოლმე, და სიმბოლურ ბადეში ამოყო თავი.

— გოლია!
— არ არი, არ არი-ი-ი!

ვინ იცის, როდის წამოიჭრა პირველად ეს დავა, ვინ იყო ის პირველი ორი ფეხბურთელი, რომლებიც მამლაყინწებივით დაეძგერნენ ერთმანეთს მოგებული თუ წაგებული თამაშის თაობაზე... და მას შემდეგ, რაც ჩვენი თავი გვახსოვს, სულ ასე ვკინკლაობთ, არ გვინდა დავთმოთ ის გოლი, · ის გადამწყვეტი, ყოვლისშემძლე გოლი, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს უნდა გამოარკვიოს ჯობნა არ ჯობნის საკითხი... მართლა ჩვენი ქუჩის გუნდია უფრო ძლიერი, თუ იმ მეზობელი ჩიხისა, საიდანაც ასე ამპარტავნულად გვიწვევენ ბურთის სათამაშოდ და, ასჯერაც რომ მოუგო, მაინც ვერ დააჯერებ შენს უპირატესობაში, ვერ დაარწმუნებ, რომ ფეხბურთი მათი საქმე არ არის და სჯობს ჯერჯერობით ბადმინტონი და პინგ-პონგი ითამაშონ, სანამ ჩვენს დონეს მოატანდნენ.

ანგარიში? ცოტა არ იყოს, არ არის საფეხბურთო — 30:29 ჩვენი გუნდის — „ქუხილის" სასარგებლოდ, აგრეთვე: 2 ჩალეწილი მინა, აწითლებული ყურები, დახეული შარვალი.

ასეთი იყო მუდამ ბავშვური ფეხბურთი, ჩვენი ეზო, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა და სკოლის უკან მდებარე უკაცრიელი, ეკალ-ბარდიანი ველი.

იყო! ათასობით, ათეულათასობით ბავშვი დასდევდა ჭინჭით გატენილ თუ რის ვაინაჩრობით ნაშოვნ ბურთს და მეომარი ინდიელივით გაჰკიოდა რაღაც უცნაურ საბრძოლო ყიჟინას.

ვინ იცის რამდენი ნიჭიერი, ჭეშმარიტი ტალანტით აღსავსე ფეხბურთელი შეუმჩნევლად დაკარგულა ამ ათეულ ათასში და ვერ გასცილებია ღორღით დაფარულ, ქვიან ასპარეზს, ვერ მიუღწევია იმ მწვერვალებისათვის, რომლის ღირსიც იგი სინამდვილეში იყო. რას იზამ: ამ არაორგანიზებულ მასაში მართლაც ძნელია გამოარჩიო ის, ვინც ხვალ ან ზეგ დიდი ფეხბურთის რიგებში უნდა ჩადგეს.

დასანანი კია! რატომ უნდა დაკარგოს ფეხბურთმა ხვალინდელი პაიჭაძე, მესხი ან მეტრეველი? მხოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ დღეს მან აგურის ნატეხიდან ცერად ავარდნილი ბურთი კარის მაგივრად მეზობლის ფანჯარას ტყორცნა და სამუდამო „დისკვალიფიკაცია“ მიიღო მშობლებისაგან?!

ამიტომ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ახალი, კოლოსალური მასშტაბების კლუბის — „ტყავის ბურთის“ შექმნა გადაწყვიტა. კლუბმა თავის რიგებში სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების გარეთ დარჩენილი მილიონობით ფეხბურთის ნორჩი მოყვარული გააერთიანა და მათთვის ყველაზე დიდი და საინტერესო შეჯიბრება, ნამდვილი საფეხბურთო ფესტივალი — „ტყავის ბურთის პრიზი“ დააწესა.



„ნაკადული“ ფეხბურთის ვეტერანებთან.

1964 წლის ერთ მშვენიერ დღეს გაზეთ „პიონერსკაია პრავდის“ ფურცლებზე ასეთი განცხადება გამოჩნდა:

ყურადღება, ბიჭებო,
ფეხმალო ფორვარდებო
და უშიშარო მეკარეებო!
თქვენთვის იხსნება კლუბი
„ტყავის ბურთი“.
ჩამოაყალიბეთ ეზოებში გუნდები!
მოძებნეთ მწვრთნელები!
მოაწყეთ საფეხბურთო მინდვრები!
შეუდექით ვარჯიშს!
მოემზადეთ თამაშებისათვის,
„ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზისთვის!
თქვენზეა სიტყვა, ბიჭებო!



გამარჯვების სიხარული

„ტყავის ბურთის“ კლუბის ამ მოწოდებას სპორტის დამსახურებული ოსტატები, გამოჩენილი ფეხბურთელები, მსაჯები, მწვრთნელები აწერდნენ ხელს. მათ შორის იყვნენ: ლ. იაშინი, ა. ხომიჩი, ი. ნეტო, ვ. ივანოვი, ვ. ვორონინი, ა. კავაზაშვილი და სხვანი.

და მთელ ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა გრანდიოზული შეჯიბრებები დაიწყო. ყველა დაინტერესდა — მონაწილეებიც, ხელმძღვანელებიც და თვით მეეზოვეებიც კი, ბავშვთა ფეხბურთის ეს ულმობელი, უძველესი მტრები. ისინი, ადრე ტარიანი ცოცხებით დილიდან დაღამებამდე რომ გუშაგობდნენ ფანჯრებიან აივნებს, ახლა თვითონვე შეუერთდნენ თამაშების ორგანიზატორთა რიგებს და თავგამოდებით გაჰკივიან ტრიბუნებიდან: „მიდი, მიშა, მიდი...“

ტრიბუნებიდანო! იმიტომ ვთქვით, რომ ეზოებისა და ქუჩების გუნდებს უკვე ნამდვილი სტადიონები დაუთმეს, საგანგებოდ აუშენეს ბურთის სათამაშო მინდვრები. შესაფერისი წესებიც შეუმუშავეს და მათს თამაშზე მაყურებლებიც დაასწრეს.

განა მტკიცება უნდა, რომ „ტყავის ბურთის პრიზი“ ჩვენში, საქართველოში, თავიდანვე ძალიან გავრცელდა? ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ ბავშვებს — ქალაქებში, სოფლებში, სახლმმართველობებთან, ეზოებში, ქუჩებში გუნდები ყალიბდებოდა, კოლექტივები იქმნებოდა და უფროსებიც ისეთივე ენთუზიაზმით ებმებოდნენ კლუბის საქმიანობაში, როგორც თვით პატარები, ნორჩი ფეხბურთელები.

მერე? მერე მათ წარმატებებიც მოიპოვეს. მაგალითად, ბათუმელ მოსწავლეთა გუნდი „გაზაფხული“ საკავშირო გათამაშების ფინალში გავიდა და გუნდის თავდამსხმელმა ანზორ ჯიქიძემ საკავშირო შეჯიბრების მთავარი „ბომბარდირის“ ტიტულიც მოიხვეჭა.

მაგრამ ჩვენი ნორჩი ფეხბურთელების წლევანდელმა მიღწევებმა დაჩრდილა ყველაფერი ადრინდელი, გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს და ჩვენი ბიჭუნების მოხდენილმა, სწრაფმა, ლამაზმა თამაშმა მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ისინი კი არ აალაპარაკა, ვისაც უშუალოდ აქვს საქმე „ტყავის ბურთის პრიზთან“, არამედ მილიონობით ფეხბურთის მოყვარული და მაყურებელიც. ცენტრალურმა ტელევიზიამ როსტოვიდან და გორკიდან ორივე ასაკობრივი კატეგორიის ბავშვთა გუნდების ფინალური მატჩების ტრანსლაცია მოაწყო და მაყურებელი ამ დროს ცისფერ ეკრანს არსად არ აკლდა.

ორივე ასაკის გუნდებში (უმცროსი ასაკი — 12-13 წელი, უფროსი ასაკი — 14-15 წელი) საქართველოს წარმომადგენლებმა, თბილისელმა ფეხბურთელებმა — „ნაკადულმა“ და „ცისკარმა“ გაიმარჯვეს.

საყურადღებო ამბავია: ორივე გუნდი თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონშია შექმნილი და ორჯონიკიძელთა ეს წარმატებები შემთხვევითი ამბავი, სპორტული იღბლის ნაყოფი როდია. აბა დაიარეთ ამ რაიონის სპორტული ბაზების საფეხბურთო მინდვრები, ჩოგბურთის კორტები, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, საცურაო აუზები, სატანვარჯიშო დარბაზები უმეტესად ბავშვებსა აქვთ დათმობილი. „ტყავის ბურთის“ კლუბს აქ ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს და ნოყიერ ნიადაგში ჩარგულმა თესლმა გასახარელი ნაყოფიც გამოიღო.

პატარა ბიჭები (მწვრთნელები შ. ბოკუჩავა და ჯ. მაჭავარიანი) როსტოვში თამაშობდნენ. აქ მათ ყველა დაამარცხეს, მერე ფინალში კიევის „ენთუზიასტს“ მოუგეს და თასი, ოქროს მედლები და დიპლომები მოიპოვეს. „ნაკადულის“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ: მ. დეკანოიძე, ზ. კაპანაძე, გ. გაგუა, ნ. თოფჩიევი, თ. ადამაშვილი, ნ. მამალაძე, ი. სამადაშვილი, ზ. გაგუა, ნ. საბანაძე, დ. ტაბუცაძე, ი. სვანიძე, გ. ცაბაძე, დ. დევაძე, ს. სულაძე, თ. გოგიაშვილი.

უფროს ბიჭებს ცხარე ბრძოლა ჰქონდათ ქალაქ გორკის სტადიონზე. ფინალში მათი მეტოქე ბაქოს „ულდუზი“ იყო. და აქაც ჩვენმა ბიჭებმა იმარჯვეს. მთავარი პრიზი და ოქროს მედლები მათაც დამსახურებულად ჩამოიტანეს მშობლიურ ქალაქში. კ. ჯალიაშვილი, რ. ბაბაიანი, მ. ხუგაშვილი, მ. მენაღარიშვილი, ი. შმატკოვი, ი. ადეიშვილი, ა. შავლაძე, კ. აკოფოვი, რ. კახიანი, ვ. სააკიანი, დ. გოცირიძე, თ. ყურბანოვი, დ. მაღალაშვილი, ს. ლომსაძე, ა. დვალი, ს. ერქვანიძე — აი, იმათი გვარები, ვინც საქვეყნოდ ისახელა თავი და სიხარული მოგვანიჭა.

ნაკადული ზღვას უერთდება, ცისკარმა კი მაცოცხლებელი დილა უნდა შვას. იმედი გვაქვს, რომ „ნაკადულისა“ და „ცისკრის“ ნორჩი ფეხბურთელები დიდი საბჭოთა სპორტის დამამშვენებელთა რიგებში ჩადგებიან.

**ბ. ქორქია.**



საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თბილისის „ცისკარი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა ზეგერსი

მამა რომ დაუპატიმრეს, მარი ნათესავებმა სოფელში წაიყვანეს. რამდენიმე თვის მერე დედამ ისევ შინ ჩამოიყვანა. ოთახში შესვლისთანავე მარის კედელზე ანაბეჭდი ოთხკუთხედი მოხვდა თვალში.

დედას ოთახი სულ შეეცვალა: ავეჯი სხვანაირად დაედგა, იატაკი შეეღება, ის დიდი მინებიანი კარადა, გესტაპოელებმა რომ გატეხეს და ძირისძირობამდე მოჩხრიკეს, შეეკეთებინა და შეეღება. შიგნით, წიგნების ნაცვლად, ფაიფურის ძველი და ახალი წვრილმანი ნივთები იყო ჩამწკრივებული. მამის საწოლის ადგილზე ახლა კომოდი იდგა. იმ ადგილზე კი, სადაც მამა მარის ოთახიდან გაყვანისას და სამზარეულოში ჩაკეტვისას იდგა, ახლა დიდი საათი მოეთავსებინათ.

ოთახს ახალი იერი დაჰკრავდა. მაგრამ კედელს ისევ ემჩნეოდა იმ სურათის ანაბეჭდი ოთხკუთხედი, გაჩხრეკის დროს რომ ჩამოგლიჯეს და ღუმელში შეაგდეს.

მარი მიხვდა: დედა შეეცადა უსიამოვნო წარსულის ყოველი ნაკვალევი წაეშალა, მაგრამ ოთხკუთხედი კი, — სურათის ადგილი—დავიწყებოდა.



# ოთხკუთხედი

დედას რომ შავი კაბა ეცვა, მარიმ იცნო, ის ფოთლებიანი საზაფხულო კაბა იყო. იმასაც მიხვდა, მამა რომ ცოცხალი აღარ იყო. ნამცხვრის სუნი ეცა. სამზარეულოში გავიდა, მაგიდას მიუჯდა და პირში ლუკმა ჩაიდო, რომ დედისათვის არაფერი ეკითხა; ნამცხვარს გემო ვერ გაუგო...

მარი სკოლაში წავიდა. კარგად სწავლობდა. ჭკვიანი გოგონა იყო. საახალწლოდ დედასთან ერთად ნაძვის ხე მორთო და მეგობრები მოიწვია. დედას ძალიან უხაროდა, რომ მარი თანატოლებთან ერთად მხიარულობდა. მაგრამ... გოგონა კედელზე ჩამოკიდებულ ოთხკუთხედს მაინც ამჩნევდა. მას ვერც მხიარულება ამოშლიდა, ვერც მუსიკა და ვერც დედის ტკბილი საუბარი.

ამ საგულდაგულოდ დალაგებულ ბინაში მარის მაინც სევდა მორეოდა. ყურებში დემონსტრანტების ფეხის ხმა ესმოდა, რომლებიც ლუსტგარტენში* მწკრივად მიაბიჯებდნენ. ტელმანი ხალხს სიტყვით მიმართავდა. მამამ მაშინ მარი ერთ თავის მეგობარს მიანდო. ალბრეხტმა ბავშვი მხარზე შემოისვა და იალქნებივით აფრიალებულ დროშებს შეერივნენ. მარი ტელმანის წინ გაატარეს...

ახლა კი მამა მკვდარი იყო. მარი ფიქრობდა, ის ალბრეხტი ალბათ ცოცხალია, უნდა მოვძებნო და ვიპოვნოო.

მარი ვერ ამჩნევდა მაგიდის გარშემო შემომსხდარ, გამხიარულებულ სტუმრებს. იგი დაფიქრებული გასცქეროდა კედელზე ანაბეჭდ ოთხკუთხედს, სადაც ადრე ტელმანის სურათი ეკიდა.

---

* ბერლინის დასასვენებელი ბაღი

გერმანულიდან თარგმნა
ნელი გოგიჩაძემ.

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.



## ახალი წიგნები

თქვენ გატაცებით კითხულობთ გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს— „დიდოსტატის მარჯვენას“, „მთვარის მოტაცებას“, „დავით აღმაშენებელს“, „ვაზის ყვავილობას“... უფრო უკეთ რომ შეისწავლოთ ჩვენი სახელოვანი მწერლის შემოქმედება, გაეცანით კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის ახალ წიგნს—„კონსტანტინე გამსახურდია“.

* * *

როდისმე გინახავთ იალბუზი? თვალი დაგიკრავთ ორთავა უშბისათვის? გინახავთ „სვანეთის პატარძალი“ თეთნულდი, ან გოლიათი შხარა და მყინვარწვერი? არც მათი თავგადასავალი გსმენიათ?

გადაშალეთ აკადემიკოს ნიკო კეცხოველის წიგნი „თოვლიან მთებში“ და ტკბილმოუბარი მწერალი მთელ კავკასიონს შემოგატარებთ!

* * *

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ბავშვები ძალიან უყვარდა, ახლოს იყო მათთან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჩვენი ქვეყნის ნორჩი მოქალაქეები ყოველი კუთხიდან უგზავნიდნენ წერილებს თავიანთ დიდ მეგობარს, რჩევას ჰკითხავდნენ, შრომასა და სწავლაში მოპოვებულ სიხარულს თუ გაჭირვებას უზიარებდნენ და პირობას აძლევდნენ, რომ პირნათლად შეასრულებდნენ მის მოწოდებას—„სწავლა, სწავლა და სწავლა“! წაიკითხეთ შ. გოგიძის წიგნი—„ბავშვთა წერილები დიდ ლენინს“. და, იგი დიდი ბელადისადმი მიწერილ წერილებს, თქვენი თანატოლების ფიქრს, ოცნებას გაგაცნობთ და იმასაც და-



სახაზავის ქვეშ ტუში რომ არ დაგეღვენთოს, ჩვეულებრივ ხის სახაზავს ქვემოდან საკანცელარიო კნოპები გაუკეთე. კნოპები სახაზავს ზემოთ ასწევს და ნახაზიც არ გაითხუპნება.

●

უმჯობესია ნახაზები, რუკები და ცხრილები გრაგნილებად შეინახო, მაგრამ გრაგნილი რომ არ დაგეჭმუჭნოს და არც ზედმეტი ადგილი დაიჭიროს, საკმარისია საგანგებო თაროები გააკეთო, ან ორ პაწია ლურსმანზე კანაფის რგოლები ჩამოჰკიდო, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.

●

სახაზავი ფანქრების წამახვილება უფრო სამფერდა პრიზმაზეა მოხერხებული, რომელზეც სამი სხვადასხვა ხარისხის ზუმფარა იქნება დაკრული: უხეში, საშუალო და წმინდა. პრიზმა კვა-







განახვებთ, როგორ ეხმარებოდა და უთანაგრძნობდა ახალგაზრდობას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

* * *

მწერალი ალექსანდრე ვოინოვი 1943 წელს ბელგოროდთან პარტიზანთა ჯგუფს შეხვდა. პარტიზანთა შორის თორმეტი-ცამეტი წლის რამდენიმე ბიჭი და გოგონა იყო. მათ მწერალს თავიანთი თავგადასავალი უამბეს. ალექსანდრე ვოინოვმა მათი ნაამბობი ჩაიწერა და შემდეგში რომანი დაწერა. ეს რომანი — „მ ა მ ა ც ნ ი“ — მწერალმა საბჭოთა კავშირის გმირის, პიონერ ვალია კოტიკის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

* * *

აბა ვის არ წაგიკითხავთ „საიდუმლო კუნძული“, „თხუთმეტი წლის კაპიტანი“, „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ და ჟიულ ვერნის სხვა ნაწარმოებები.

ამ საინტერესო მწერალზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთნი ამბობენ, დიდი მოგზაური იყოო. მეორენი, — ოთახში ჩაკეტილი წერდა თავის რომანებსო. მესამენი კი ფიქრობენ, არავითარი ჟიულ ვერნი არ არსებობდა. ეს წიგნები რამდენიმე კაცის დაწერილიაო.

თუ სიმართლის გაგება გინდათ, კ. ა ნ დ რ ე ე ვ ი ს წიგნი „ჟ ი უ ლ ვ ე რ ნ ი ს ს ა მ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე“ წაიკითხეთ. ამ წიგნში ჟიულ ვერნის საინტერესო ცხოვრებაა მოთხრობილი.

ლ. გოგოხია.

დრატული ძელაკის დიაგონალზე დაამზადე, ჩაჭრით, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.




●

თუ შენ ჩექმები გესაჭიროება, დახედე ნახატს და ზუსტად ასე გამოჭერი თხელი ფიცრისაგან ჩექმის გასახდელი. ერთგული „მსახური“ სწრაფად გაგხდის ჩექმებს და ხელებიც არ გაგეთხუპნება.



ერთი ცნობილი ფრანგი ქირურგი საავადმყოფოდან შინ ბრუნდებოდა. თავისი სახლის კარებთან ფეხმოტეხილი ძაღლი შენიშნა, რომელიც საცოდავად წკმუტუნებდა. შეეცოდა საბრალო პირუტყვი, შინ შეიყვანა, გაუკეთა ოპერაცია, მოუარა და განკურნა.

ძაღლი, როგორც კი შესძლო სიარული, თავის პატრონთან წავიდა და იმ დღიდან აღარ გამოჩენილა.

გავიდა ექვსი თვე, პირუტყვმა ქირურგის სახლს კიდევ მიაკითხა. მოძებნა თავისი ექიმი და დაუწყო ლაქუცი და ხელების ლოკვა. მერე წინსაფარზე კბილი ჩაჰკიდა და დაჰქაჩა. ქირურგი მიხვდა, რომ ძაღლი რაღაცას ანიშნებდა და გარეთ გაყვა.

ექიმის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: ძაღლს კარებთან ფეხმოტეხილი სხვა ძაღლი მოეყვანა და მკურნალს შველას სთხოვდა.

ხუთი წლის ჟიული დედასთან ერთად პირველად ჩაჯდა ლიფტში. როცა შინ დაბრუნდა, უფროსმა ძმამ ჰკითხა, — რით ადით დეიდასთანო. ჟიულმა სხაპასხუპით უპასუხა: — გადავედით ქუჩაზე, შევედით დიდ შენობაში, შემდეგ პატარა გალიაში და... მესამე სართული ჩვენთან ჩამოვიდა.

ფრანგულიდან
თარგმნა
ნ. შაქრიაშვილმა.

გერმანელი მხატვარი ვილჰელმ ლაიბლი წარმოშობით გლეხი იყო. ერთხელ, მაღალი წრის საზოგადოებაში ყოფნისას, ერთი მდიდარი მეწარმის ვაჟიშვილმა თავხედურად ჰკითხა მას:

— ამბობენ, რომ თქვენ გლეხის შვილი ხართ და ახალგაზრდობისას ცხვრებსაც მწყემსავდით თურმე. მართალია ეს?

მხატვარმა ახალგაზრდა შეათვალიერა და უპასუხა:

— დიახ, მართალია. ბავშვობაში ცხვრებიც მიმწყემსია და ამიტომ ერთი შეხედვით ვცნობ ყოველ ცხვრისთავას.

ორი ფრანგი ტურისტი ესპანეთში მოგზაურობდა. არც ერთმა და არც მეორემ არ იცოდა ესპანური ენა.

ერთხელ მადრიდის ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ, ბიფშტექსის ჭამა მოინდომეს, დაუძახეს ბიჭს და ახსნა დაუწყეს. ბიჭმა ვერაფერი ვერ გაიგო, მაშინ ერთმა მათგანმა ქაღალდზე მოზვერი დახატა და ქვემოთ დიდი ორიანი მიაწერა. ბიჭი ღიმილით გაშორდა.

მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბიჭი დაბრუნდა და სინით ორი ბილეთი მიართვა ხარების შეჯიბრებაზე დასასწრებლად.

გერმანულიდან
თარგმნა
დ. ჩაკვეტაძემ.

## ლომების გალიაში

ვინმე სანფრანცისკოელი ტომ ფორიუმი, საკმაოდ შეზარხოშებული, ზოოპარკში სეირნობდა. სრულიად შემთხვევით, იგი ლომების გალიაში მოხვდა, ვითომც აქ არაფერიაო, ტომი მიწვა გალიის ერთ კუთხეში, მიწვა და მალე ხვრინვაც ამოუშვა. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ პოლიციელებმა იგი გარეთ გამოაბრძანეს და დააჯარიმეს, რადგან „მან მარტო საკუთარი სიცოცხლე კი არ ჩააგდო საფრთხეში, არამედ, თავისი ხვრინვით ლომებს აწუხებდა, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს დასვენების უფლება“.



## აი, სისხლის ჯგუფები!

ცნობილია, რომ ადამიანებს ძირითადად ოთხი ჯგუფის სისხლი აქვთ: А, Б, АБ და ნულიანი. საავადმყოფოებში მუდამ აქვთ დონორების სისხლის მარაგი ამპულებში. იგი აუცილებელია სისხლის გადასხმასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს.

უკანასკნელ ხანებში მედიკებმა სისხლის სრულიად იშვიათი ჯგუფები აღმოაჩინეს. მაგალითად, სისხლის ჯგუფი wE-B მთელი დედამიწის ზურგზე მხოლოდ შვიდ კაცს აღმოაჩნდა; სისხლის ჯგუფი RH კი სულ ორ ქალიშვილსა აქვს. ერთი მათგანი ცხოვრობს ამერიკაში, მეორე — ავსტრალიაში.

## უმნიშვნელოვანესი პრობლემა

მთელ მსოფლიოში ამჟამად სამ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის ერთი მეექვსედი — ხუთასი მილიონი სწავლობს სკოლებში და სხვადასხვა სახის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. მიუხედავად ამისა, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის თითქმის ორმოცი პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. დედამიწის ზურგზე 250 ათასი კინოთეატრია, ტელევიზორების რაოდენობა ამ უკანასკნელ ათ წელიწადში ოთხჯერ გაიზარდა. მსოფლიოში ყოველწლიურად 400 ათასი საელწოდების წიგნი გამოდის. და მაინც, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა კაცობრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.



## ორიგინალური გამოგონება

ჰოლანდიის ქალაქ ზაანდამის ერთმა დალაქმა თავის სადალაქოსთან შუქნიშანი დააყენა. წითელი შუქი იმას ნიშნავს, რომ სადალაქო სავსეა კლიენტებით; ყვითელი შუქის დროს—დიდხანს არ მოგიწევს რიგში დგომა; როცა მწვანე შუქი ანთია, — შეგიძლია თამამად შეხვიდე, სავარძელი თავისუფალი დაგხვდება.



## დელფინები შიმშილს აცხადებენ

ადრიატიკის ზღვის ნაპირას ერთ-ერთი საკვლევ-სამეცნიერო სადგურის თანამშრომლები სწავლობენ დელფინების ცხოვრებას და მათზე მთელ რიგ ცდებს ატარებენ (ცხადია, ისეთ ცდებს, რომლებიც არ ვნებს ამ ცხოველთა ჯანმრთელობას). დელფინები მეცნიერებს ყველაფრის ნებას აძლევენ, მაგრამ... მხოლოდ მანამდე, სანამ არ მოსწყინდებათ აქვარიუმის ვიწროობაში ცხოვრება. ამ დროს კი ისინი შიმშილს აცხადებენ. მეცნიერებმა უკვე იციან, რასაც ნიშნავს ეს და მაშინვე კარებს ულებენ ზღვისკენ. კმაყოფილი დელფინები, აუჩქარებლად სტოვებენ აქვარიუმებს.

## ცნობისმოყვარეობის მსხვერპლნი

იაპონელმა მეცნიერებმა ფირზე ჩაწერეს თევზების „საუბარი“, როცა ისინი ხაჭმელს შეექცეოდნენ. როცა ჩანაწერი ტრალში — გემიდან თევზის საჭერ ბადეში „აახმიანეს“, ბადე მყისვე გაივსო თევზებით. ეტყობა, მათ გულმა არ მოუთმინა გაეგოთ, თუ რას მიირთმევდნენ უფრო იღბლიანი თვისტომნი. მაგრამ ძვირად დაუჯდათ ცნობისმოყვარეობა — ნადავლით სავსე ბადე გემზე ამოსწიეს...

## სხვისი დიდება ტვირთად ექცა

ცხოველთა შესახებ დაწერილი მრავალი წიგნის ავტორის, ნორვეგიელი მწერალი ქალის ლუიზა სტეკინტკის ბინა თავისებურ ზოოპარკს წარმოადგენს. ძაღლები, კატები, კუები, თაგვები თავისუფლად დასეირნობენ ოთახებში და როგორც დიასახლისი ამტკიცებს, ძალზე მეგობრულად ცხოვრობენ. თავისი უკანასკნელი წიგნი მწერალმა ქალმა იაპონური თაგვების ცხოვრებას მიუძღვნა. თაგვები გაამაყდნენ და უკვე ზემოდან დასცქერიან სხვა ცხოველებს. ერთმა მათგანმა, როგორც ჩანს, დაასკვნა — ჩემი ოთხი ფეხით სიარული არ შემეფერებაო და იგი ახლა კუს ზურგზე მოკალათებული დასეირნობს. მართალია, სხვისი დიდება ტვირთად ექცა, მაგრამ რა ქნას კუმ — უარს ხომ ვერ ჰკადრებს დიდებულთა წარმომადგენელს!

## სკოლა — დასაკეცი კედლებით

ნორვეგიის ქალაქ ხლავერში აშენდება გარეგნული ფორმით სრულიად განსხვავებული ტიპის სკოლა. მაგრამ მარტო გარეგნული თავისებურებით როდი იქნება იგი გამორჩეული. ბევრი სიახლეა გათვალისწინებული სკოლის შიგნითა აღნაგობაშიც. მაგალითად, საკლასო ოთახების ყველა კედელი დასაკეცი იქნება და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მთელი სკოლა ერთ უზარმაზარ საკლასო ოთახად გადაიქცეს, სადაც მხოლოდ ერთი მასწავლებელი ჩაატარებს გაკვეთილს.

## სპილოსა და თაგვის მეგობრობა

სან-მონიკას ზოოლოგიურ პარკში (ამერიკა) ერთმანეთს შეხვდნენ და ძალიან დამეგობრდნენ სპილო პოპსი და თაგვი გრეგორი. პატარა, მაგრამ გულადი გრეგორი, ხშირად ააცოცდება ხოლმე ხორთუმზე თავის უშველებელ ძმაკაცს და ასე დასეირნობს ვოლიერში.

# ? თავშესაქცევი



## ლაბირინთი

— წადი! — უთხრა დარაჯმა პატიმარს, — თუ ამ ლაბირინთს გააღწევ და მეორე კარში გახვალ, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული. თუ გზა დაგებნა და უკან დაბრუნდი, შენს თავს დააბრალე.

ტყვე ლაბირინთში შევიდა. ლაბირინთის ჭერი ორმეტრნახევარი იყო. პატიმარს არც ძაფი ჰქონდა, არც მარცვლები, არც კენჭები, რომ გავლილი გზა მოენიშნა.

როგორ მოძებნა პატიმარმა გზა გასასვლელისაკენ?

## ეკვატორის გასწვრივ

თვითმფრინავი აფრინდა ეკვატორზე მდებარე პუნქტიდან, გაჰყვა ეკვატორს და დედამიწას აღმოსავლეთიდან დასავლეთით შემოუარა. მფრინავი ზუსტად მზის ამოსვლისას აფრინდა და მხოლოდ დღისით მიფრინავდა ხოლმე, მზე ჩავიდოდა თუ არა, დაფრინდებოდა და ისვენებდა. რა სისწრაფე ჰქონია თვითმფრინავს, თუ იგი საწყის პუნქტში მერვე დღეს, მზის ჩასვლისას მოფრინდა? (ეკვატორის სიგრძე, როგორც იცით, 40 000 კილომეტრია. თვითმფრინავის სისწრაფე მუდმივი ვიგულისხმოთ).

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. ინგლისელი მწერალი; 3. კამფეტი; 6. წარსულის შემსწავლელი მეცნიერება. 7. კუნძული ინდონეზიაში; 9. ნაღარა ანუ... 10. ალ. ყაზბეგის ნაწარმოები; 11. სატელეგრაფო ნიშნების ავტორი. 13. მიწის დასამუშავებელი ძველებური ხის იარაღი; 14. ფრინველის კამარა; 16. დიდი რუსი მწერალი; 18. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 19. დადებითად დამუხტული ელექტროდი.

**ვერტიკალურად:** 1. ქალაქი კორეაში; 2. მდინარე საქართველოში: 3. ჭრილობა ანუ... 4. გარეული ცხოველი; 5. პარკოსანი მცენარე; 8. სამეცნიერო ჟურნალების გავრცელებული სახელწოდება; 9. ცნობილი ფრანგი მწერალი; 12. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. გამხმარი ხილი; 15. მდინარე ევროპაში; 16. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში; 17. ბრძნული ანბანის ასო.

ჯ. ჩუბინიძე.



## პასუხი № 12-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე

### მუსიკალური ჩაინვორდი

1. ვიოლინო; 2. ოქტავა; 3. აკუსტიკა; 4. ალეგრო; 5. ორატორია; 6. ანდღულაძე; 7. ევტერპა; 8. აკორდი; 9. ინაშვილი; 10. „ივერია"; 11. აზმაიფარაშვილი; 12. იმპრესარიო; 13. „ოტელო"; 14. ორკესტრი; 15. „იოლანტა"; 16. ანსამბლი.

### კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 2. ნურიე; 5. კაფა; „აბაი". 10. ნავთი; 11. გლოლა; 12. დეკა; 13. აზია; 16. ალტაი; 17. რიონი; 20. კამა; 21. იანა; 23. ჯვარი.

**ვერტიკალურად:** 1. ურო; 3. ბაზალეთი; 4. ყარაყუმი; 6. აგური; 7. ამური; 8. ბაიკალი; 9. ალაზანი; 14. პარაგვაი; 15. ჩიქოვანი; 18. ქიმია; 19. ურანი; 22. ჩაი.

### ორი ბაგირი

უპირველეს ყოვლისა ბაგირების ბოლოები უნდა გადაასკვნა. შემდეგ უნდა აცოცდე პირველ ბაგირზე და გადაჭრა მეორე ბაგირი ისე, რომ მაღლა დარჩენილი ნაწილისგან ყულფის გასკვნა მოხერხდეს. ამ ყულფს უნდა ჩამოეკიდო, პირველი ბაგირი ზედ ჭერთან მოჭრა და ყულფში გააძვრინო, სანამ ნასკვი ყულფთან არ მივა. ამის შემდეგ ჩაჰყევი ძირს ბაგირებს, დაჰქაჩე და ერთი თავი ყულფიდან გამოაძვრე. ამრიგად, ხელთ გექნება პირვანდელი სიგრძის პირველი ბაგირი და ცოტაოდენ მოკლე მეორე ბაგირი.

## ბუნების კარი

# როჭო

როჭო ქათამზე დიდი ზომის ფრინველია. მამალი შავი ფერისაა, გრძელი, მოკაუჭებული ბოლო აქვს, თავზე წითელი ბიბილო აზის. დედალი რუხი ფერისაა. ბუმბულით შემოსილი ფეხებით როჭო თოვლზე თავისუფლად დადის, არ ეფლობა.

როჭო ტყისა და სუბალპური ზონის მიჯნაზე (ზღვის დონიდან 3000 მეტრამდე) ბინადრობს, ზაფხულობით ბალახითა და მცენარეთა თესლებით იკვებება, ტყის ხილი უყვარს: მოცვი, მოდგინარი, ჟნავი... პეპლებს და სხვადასხვა მწერებსაც სჭამს. ზამთრობით როჭო ტყეს აფარებს თავს, ამ დროს მისი მთავარი საკვები არყის ხის კვირტებია.

როჭო თავის საცხოვრებელ ადგილს არ იცვლის, ზამთარ-ზაფხულ შეჩვეულ ადგილს არ სცილდება, ჩუმი ფრინველია, ჭიკჭიკი ან გალობა არ იცის; მამალი როჭო აფრენის დროს ახმიანდება ხოლმე. დედალი კი ამ დროს, თითქოს ხროტინობსო, ისე ყვირის. ამ ხმებს ვაჟა „როჭოების ყაყანს" უწოდებს. როჭო მაის-ივნისში მრავლდება. ამ დროს დედალი როჭოები საბუდარად დაბლა, ტყიანში ჩამოდიან, მამლები კი მაღლა, სერებზე რჩებიან. მამლები დედლებს ბუდის კეთებაში არ ეხმარებიან. დედალი ბუდეს შქერის ბუჩქის ან არყის ხის ძირას იკეთებს. უბრალოდ მოქექილ მიწაზე ქათმის კვერცხზე ოდნავ პატარა, მოგრძო, დაფორაჯებულ 10-15 კვერცხს სდებს. 18-22 დღის შემდეგ შავი და რუხი ფერის წიწილები იჩეკებიან. წიწილები მალე დედას გამოჰყავს ბუდიდან, საკენკს ურჩევს და თვითონ კი ფრთხილად ზვერავს გარემოს. 25-27 დღის შემდეგ წიწილები უკვე დაფრინავენ, მაგრამ დედა მათ გვერდიდან მაინც არ იცილებს, სანამ დამოუკიდებელ ცხოვრებას არ შესძლებენ.

როჭო დილა-საღამოს საკვების საძებრად გამოდის, შუადღისას კი ხშირ ბალახში, ბუჩქში ან ხის ტოტზე ზის, ზამთრობით თოვლში ძვრება და იქ იმალება.

როჭოს საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს: არწივი, ქორი, მელა, კვერნა და სხვა მტაცებლები.

ს. რეხვიაშვილი.





## სარჩევი


**შ. მირიჯანაშვილი** — მეტრო გზას მიიკვლევს (ნარკვევი). 1
**ე. მარი** — წითელი მამალი; ოთხთათა (მოთხრობები, თარგმნა დ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ) 4
**ს. შამფრიანი** — მესხეთის მიწაზე (ნარკვევი) . . . 6
**რ. ჯაფარიძე** — ჯიმარაის ტუსაღები (მოთხრობა. დასასრული) . . . . . . . 10
**გ. ალიბეგაშვილი** — შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ქანდაკება (წერილი) . 17
**გ. ახვლედიანი** — ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო (ინტერვიუ) . . . . . . 20
**ლ. გუდიაშვილი** — ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო (ინტერვიუ) . . . . . . 21
ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ი . . . 21
**ჯ. როდარი** — ლექსები (თარგმნა მ. ლ ე ბ ა ნ ი ძ ე მ) . 22
**ბ. ქორქია** — „ნაკადულიც", „ცისკარიც" და სხვა მრავალიც (ნარკვევი) . . . 24
**ა. ზეგერსი** — ოთხკუთხედი (მოთხრობა. თარგმნა. ნ. გ ო გ ი ჩ ა ძ ე მ) . . . . 27
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . 28
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . . . 28
უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი . 29
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . 30
თ ა ვ შ ე ს ა ქ ც ე ვ ი . . . 31
ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი . . . . 32


გარეკანზე — „საახალწლო კარნავალი". მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ", на грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
[illegible] 11720 [illegible] 58.100 [illegible] $4^1/_2$, [illegible] 7
[illegible] 16 XII-67 წ. [illegible] 4401 [illegible] 212.
[illegible]

ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.



ცხოველთა ბრძოლის სკულპტურული გამოსახულება.



ბარბაროსულ ტომთა ხელოვნება. გალთა.



ვეზელის ტაძრის შესასვლელის თავზე მოთავსებული რელიეფური კომპოზიცია. მთლიანი ხედი.



რომანული ხელოვნება. ურჩხულის გამოსახულება. ქიმერები.



რომანული ხელოვნება. შარტრის კათედრალის დასავლეთის პორტალი.



76157

ეროვნული
ბიბლიოთეკა

